საკვირო ბაჯები

№18 (699)
ოთხშაბათი
31 მაისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ირაკლი ღარიბაშვილი: მოგვანიჭეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, ეს დაასრულებს პოლარიზაციას საქართველოში

❖ ყველაფერს ვაკეთებთ საქართველოს ეროვნული ინტერესების დასაცავად. ჩვენ ვიცავთ, უზრუნველვყოფთ კეთილდღეობას, სტაბილურობას, მშვიდობას ჩვენს ქვეყანაში. ამავდროულად, ჩვენ წინ მივდივართ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე.

❖ ჩვენ ვქმნით კარგ პრეცედენტს, ნავიგაციას ვახდენთ ამ ტურბულენტურ გარემოში როგორ გადავრჩეთ პატარა ქვეყანა, არ ვართ არც ნატოს წევრი, თუმცაღა გვინდა წევრობა, არ ვართ ევროკავშირის წევრი, მაგრამ ნავიგაციას ვცდილობთ აი ამ რთულ სიტუაციაში.

❖ ჩემი საბოლოო მიზანი, ყველა ქართველის და ჩვენი მთავრობის საბოლოო მიზანია იმის მიღწევა, რასაც ჰქვია დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით.

❖ საქართველო თუ ვერ მიიღებს კანდიდატის სტატუსს წლის ბოლოსთვის, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა.

სამხრეთკავკასიური სამეული – ოპტიმალური გამოსავალი საქართველოსთვის

სალომეამ საქართველოს პრეზიდენტობას „ნაცების“ რეზიდენტობა ამჯობინა!

ეს დაკვეთაა!
უკრაინა საკუთარი ინიციატივით არაფერს აკეთებს

რუსეთსა და აშშ-ს მძიმე „საქორწინო“ კავშირი აქვთ

ეკვადორის პრეზიდენტის სიკვდილის საიდუმლო

დარმაედი ერვანდა

დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 926 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი განცხადებას ავრცელებს

სინგაპურში მიმდინარე სამოქალაქო დავა

სინგაპურის სასამართლოს 2023 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით **Credit Suisse Trust Limited**-ს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ დაეკისრა ზიანი ანაზღაურება, 926 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ **Credit Suisse Trust Limited**-მა (მოპასუხე) დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, დაეცვა მოსარჩელეთა აქტივები, რითაც მათ მიაყენა ზიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სინგაპურის სასამართლომ მოპასუხეს დაავალა დაკისრებული თანხის წინასწარი განთავსება, მოსარჩელეთა მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

სინგაპურის სასამართლომ გადაწყვეტილებაში, აგრეთვე, მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დაკისრებულ 926 მილიონ აშშ დოლარს უნდა გამოაკლდეს ბანკის მიერ მორიგების საფუძველზე მოსარჩელეებისთვის გადახდილი დაახლოებით 79,430,773 მილიონი აშშ დოლარი. დაინტერესებულ პირებს შევახსენებთ, რომ აღნიშნული თანხა არის ის, რომელიც ბანკს შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გადაეხადა და რომლის გადახდაც დაახლობით 3 წლით გაჭიანურდა. როდესაც სინგაპურის სასამართლოს მოსამართლე დაინტერესდა, ინფორმაცია ბანკის მიერ შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად შეუსრულებლობის შესახებ შეესაბამებოდა თუ არა რეალობას/სინამდვილეს, ბანკმა, როგორც ჩანს, იგრძნო საფრთხე, რომ აღნიშნულს შეიძლება უარყოფითად ემოქმედა მოსამართლის შინაგან რწმენაზე და გააქტიურა მოლაპარაკების პროცესი და შემდეგ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გადაიხადა აღნიშნული 79,430,773 მილიონი აშშ დოლარი.

სინგაპურის სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მხარეები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი, რომ ბერმუდის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა შესაბამისობაში მოვიდეს სინგაპურის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხასთან, ერთი და იგივე ქმედებისთვის ორმაგი პასუხისმგებლობის დაკისრება რომ იქნეს თავიდან აცილებული, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული საკითხის მხედველობაში მიღება საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენს სინგაპურის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობაზე.

ბერმუდაში მიმდინარე სამოქალაქო დავა

როგორც დაინტერესებული პირებისთვის/საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ბერმუდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით **Credit Suisse**-ს /მასთან დაკავშირებულ იურიდულ პირს/ დაეკისრა 607 მილიონი აშშ დოლარის გადახდა.

ამასთან, სასამართლომ მოპასუხეს დაავალა თანხის წინასწარი განთავსება. მოცემული მომენტისთვის თანხა (607 მილიონი აშშ დოლარი) განთავსებული არის კიდეც ე.წ. **esqrou** ანგარიშზე.

ბერმუდის პირველის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ /მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა საპელაციო ინსტანციაში. საქმის არსებითი განხილვა დასრულდა ზემდგომი ინსტანციაში და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის სექტემბრამდე.

საქმის მასალების და მხარეთა არგუმენტების ანალიზის საფუძველზე არსებობს მოლოდინი, რომ უცვლელად დარჩება ბერმუდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისთვის 607 მილიონი აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ბერმუდისა და სინგაპურის იურისდიქციებში მიმდინარე საქმეების მიხედვით **Credit Suisse**-ს (მასთან დაკავშირებულ

იურიდულ პირებს), თუ გავითვალისწინებთ ადვოკატების ხარჯების ოდენობასაც, დაკისრებული აქვს მილიარდ ნახევარ აშშ დოლარზე მეტის გადახდა ბიძინა ივანიშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და დაკავშირებული იურიდიული პირების სასარგებლოდ.

შვეიცარიაში მიმდინარე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები

სამოქალაქო საქმე ეხება ბანკისთვის თანხის დაკისრებას. აღნიშნული მოთხოვნა მოიცავს ბანკისთვის იმ თანხების დაკისრებას, რომელიც უკანონო, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც შვეიცარიის სასამართლოს მიერ არის დადგენილი, დანაშაულებრივი ქმედებით იქნა „მიტაცებული“ და რომელიც არ არის ბერმუდასა და სინგაპურში მიმდინარე დავების მსჯელობის საგანი/ნაწილი. მიმდინარე წლის ბოლოსთვის, სავარაუდოდ, გარკვეული პროგრესი უნდა იქნეს მიღწეული აღნიშნული მიმართულებითაც.

სისხლის სამართლის საქმეც მიმდინარეობს ბანკის წინააღმდეგ. ერთი კვირის წინ შვეიცარიაში ადვოკატებს მიუვიდათ პროკურორის შეტყობინება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება გაიხსნა ბანკის წინააღმდეგ, ორგანიზაციული საკითხების მიმართულებით დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო. პროკურორმა ადვოკატებს, აგრეთვე, აცნობა, რომ ბანკის მიმართ ფულის გათეთრების ნაწილში იგეგმებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა და ადვოკატებს მიეცათ ვადა პოზიციების წარსადგენად.

ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ბანკის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას ფულის გათეთრების ნაწილშიც. შესაბამისად, წარდგენილი იქნება შესატყვისი არგუმენტები და ადვოკატების მხრიდან აღნიშნული საკითხი, საჭიროების შემთხვევაში, გახდება კიდეც სასამართლოს მსჯელობის საგანი. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ საქმის წარმოების შეწყვეტა, მოცემულ საქმეში, ეწინააღმდეგება შვეიცარიის სასამართლო პრაქტიკას და, თუ სასამართლოს მოუწევს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, წარმატების შანსი, რომ სისხლის სამართლის საქმეს მიეცეს მსვლელობა ბანკის წინააღდეგ ფულის გათეთრების ნაწილშიც, არის საკმაოდ მაღალი.

და ბოლოს, წარმოგიდგენთ ინფორმაციას **Credit Suisse**-ის უკანონო და, როგორც ერთხელ უკვე ითქვა, დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილ ფულად სახსრებთან და აქტივებთან დაკავშირებით.

როგორც დაინტერესებული პირებისთვის/საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, ბანკის უკანონო ქმედებებს გადარჩენილი აქტივების დიდი ნაწილი **Credit Suisse**-დან გადატანილი იქნა სხვა შვეიცარულ ბანკში (**Julius Baer**), თუმცა აქტივების მმართველად დარჩა **Credit Suisse**-ის ტრასტი, დაფუძნებული გენზის კუნძულზე.

ტრასტმა 2022 წლის მარტიდან შეცვალა დამოკიდებულება თავისი ვალდებულების შესრულების მიმართულებით: შექმნა დაბრკოლებები და შეუზღუდა ბენეფიციარებს აქტივებთან წვდომა. თავდაპირველად ვალდებულების შეუსრულებლობა ახსნა მიზეზით: „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენები“.

შემდეგ კი სხვადასხვა ხელოვნური ბარიერით შეეცადა ვალდებულების შესრულების თავის არიდებას.

არსებული მდომარეობიდან დარჩა ერთადერთი გამოსვალი, ტრასტის ხელშეკრულების შეწყვეტა და ტრასტის დაშლა, თუმცა **Credit Suisse**-ის ტრასტი, მოცემულ შემთხვევაშიც, შეეცადა გამოგონილი ბარიერით საკითხის გაჭიანურებას. კერძოდ, ტრასტმა მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, ტრასტის დაშლა ეწინააღმდეგებოდა თუ არა არასრულწლოვნების და მომავალი/დაუბადებელი შთამომავლების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მხარისთვის განჭვრეტადი იყო სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი, მაინც გახდა საჭირო მისთვის მიმართვა.

Credit Suisse-ის ტრასტი მაქსიმალურად შეეცედა გაეჭიანურებინა სასამართლო პროცედურებიც. ფაქტიურად, ერთი წლის თავზე დადგა ის შედეგი, რომელიც თავიდანვე პროგნოზირებადი იყო და რომლის სასამართლოში განსახილველად მხოლოდ ერთი სხდომა იყოს საჭირო; ერთ სხდომაში მოხდა კიდეც მისი განხილვა.

გენზის კუნძულის სასამართლომ 2023 წლის 24 მარტს მიიღო გადაწყვეტილება არასრულწლოვნებისა და მომავალი/დაუბადებელი შთამომავლების სასარგებლოდ ტრასტის დაშლის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, **Credit Suisse**-ის ტრასტი აჭიანურებს ტრასტის ხელშეკრულების შეწყვეტას, ტრასტის დაშლასა და აქტივების ბენეფიციარების სურვილების შესაბამისად განაწილებას.

საქმეში ჩართულ ყველა ადვოკატს უჭირს სამართლებრივი ახსნა მოუძებნოს იმ გამოგონილ მიზეზებს, რომელსაც ბანკის ტრასტი იყენებს ტრასტის დაშლისა და აქტივების განაწილების გაჭიანურების მიზნით. მათი აზრითაც, ბანკის ტრასტის მიზეზები სამართლებრივ ჩარჩოებს სცდება; იუმორის ჟანრში გადადის.

დღევანდელი მოცემულობით, ბანკის ტრასტი აბრკოლებს ბენეფიციარების წვდომას აქტივებთან, თუმცა, ადვოკატები ვფიქრობთ, რომ მათ ფანტაზიებს, მიზეზების შეთხზვის თვალსაზრისით, ექნება საზღვარი და ბანკის ტრასტს მაინც მოუწევ ტრასტის დაშლაც და აქტივების განაწილებაც. სხვათაშორის, ხელშეკრულებაც ტრასტის დაშლის შესახებ და აქტივების განაწილების თაობაზე რეზოლუციის ტექსტიც შეთანხმებული არის მხარეებს შორის.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ტრასტის დაშლისა და აქტივების განაწილების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა არ გახდება საჭირო. ბანკის ტრასტი უკვე შეთანხმებულ დოკუმენტებს ხელს მოაწერს და გამოსცემს რეზოლუციას აქტივების განაწილების შესახებ. აღნიშნულით კი აღსდგება შეუზღუდავი წვდომა აქტივებთან, იმ აქტივებთან, რომელთანაც წვდომა შეზღუდული არის 2022 წლის მარტიდან: როგორც **Credit Suisse**-ის ტრასტი ამბობს, „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებიდან,” - ნათქვამია განცხადებაში.

„გვაქვს უამრავი შესაძლებობა უკეთესი ცხოვრებისთვის, მაგრამ ხელი გვეშლება, რადგან დავეთანხმეთ დასავლეთს იმ ნარატივში, რასაც ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსი ჰქვია და რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ნულოვან, ან მინიმალურ განვითარებას ითვალისწინებს“, - ამის შესახებ პოლიტოლოგმა ირაკლი გოგავამ „საერთო გაზეთთან“ საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, სიმდიდრის სამი ძირითადი წყაროა: ცოდნა, მრეწველობა და ბუნებრივი რესურსები. ცოდნა გავფლანგეთ, ბუნებრივი რესურსი არც ისე ბევრი გვაქვს, მრეწველობის განვითარების მცდელობა კი აგვიკრძალეს...

სამხრეთკავკასიური სამეული ოპტიმალური გამოსავალი საქართველოსთვის

ირაკლი გოგავა: პირველ რიგში, მინდა, ქართველ ხალხს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, 26 მაისი მივულოცო, რასაც ჩვენ დამოუკიდებლობის დღეს ვუწოდებთ. შესანიშნავი აღლუმი იყო - შემოქმედებითად დაგეგმილი, პატრიოტული და ქრისტიანული მუხტით გაჟღენთილი. მისასალმებელი იყო აზერბაიჯანის სასულე ორკესტრის მონაწილეობა აღლუმში.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ქვეყანაზე მზრუნველი, ქვეყნის გულშემატკივარი და მოყვარული ადამიანის გამოსვლა იყო. მან ყველაზე მთავარს გაუსვა ხაზი - სახელმწიფო სუვერენიტეტის გაძლიერების აუცილებლობას და იმ პრინციპს, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს!“ ახლა მთავარია, სიტყვას მეტი საქმე მოჰყვეს. პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა კი იყო ვერაგული და საზოგადოების გახლეჩას ემსახურებოდა. ამ სადღესასწაულო დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა პრეზიდენტმა, რომ ის საქართველოს ეროვნული ინტერესებით არ მოქმედებს.

- როგორც აღნიშნეთ, პრემიერმა სახელმწიფო სუვერენიტეტის გაძლიერებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გასავლელია.“ კიდევ რა დრო დასჭირდება მის გავლას, თქვენი აზრით?

- ფორმალური დამოუკიდებლობა კი გვაქვს, მაგრამ, რაც შეეხება სუვერენიტეტს, ამ მხრივ სერიოზულად ვართ შეზღუდული, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ პატარა (და არა მხოლოდ) სახელმწიფოებს უჭირთ საკუთარი სუვერენიტეტის დაცვა.

სუვერენულია ქვეყანა, თუ ის ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: პირველი - სუვერენულ ეკონომიკურ პოლიტიკას აწარმოებს; მეორე - გააჩნია ავტონომიური მართვის, ანუ პოლიტიკური სისტემა. თუ სახელმწიფოს ამ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთი არ გააჩნია, ეს ნიშნავს, რომ გარე ძალები საკუთარ დღის წესრიგს ახვევენ თავს და მისი სუვერენიტეტი შეზღუდულია. ჩვენ დღეს ასეთ მდომარეობაში ვართ, სამწუხაროდ.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, ვისაც რეალურად აქვს სუვერენიტეტი. აბსოლუტური სუვერენიტეტი არ არსებობს. სხვა 194 ქვეყნის მსგავსად, საქართველოც გაეროს წევრი ქვეყანაა, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ფორმალურადაც კი თმობს სუვერენიტეტის რაღაც ნაწილს საერთაშორისო ორგანიზაციის სასარგებლოდ. თუმცა, ყველაფერი შედარებითია.

მაგალითად, ჩემი აზრით, სუვერენიტეტით გამოირჩევა, პირველ რიგში, მეზობელი აზერბაიჯანი, რომელიც აწარმოებს სუვერენულ პოლიტიკას. აღსანიშნავია სხვა პატარა ქვეყნებიც: ურუგვაი, სინგაპური, ისრაელი, კოსტა-რიკა... ევროპაში - შვეიცარია, ავსტრია, დანია, ირლანდია, პორტუგალია... სადაც მეტ-ნაკლებად მაღალია ქვეყნის თავისუფლების ხარისხი ეროვნულ ინტერესებზე მორგებულ გადაწყვეტილებებში.

სწორედ ეს განაცხადა პრემიერმა, რომ, მართალია, დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ სუვერენიტეტისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა უნდა განვაგრძოთ.

- არაერთხელ გითქვამთ, რომ სამხრეთკავკასიური სამეულის შექმნა საქართველოსთვის ოპტიმალური გამოსავალი იქნება. ეს, ალბათ, ახლა უფრო მარტივად განსახორციელებელია, რადგან სომხეთმა და აზერბაიჯანმა თითქმის მიაღწიეს შეთანხმებას...

- ამ ინიციატივით 2020 წელს გამოვედი და ჩემი არგუმენტები აზერბაიჯანულ და ქართულ პრესაში გამოვაქვეყნე, რის განხორციელებაც ახლა მეტად რეალურია, რადგან მთავარი პრობლემა, რაც ამ ინტეგრაციას წლების განმავლობაში ხელს უშლიდა, ნელ-ნელა გვარდება. სომხეთმა აღიარა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, მათ შორის, მთიანი ყარაბაღის ჩათვლით, აზერბაიჯანმა კი დაადასტურა პატივისცემა სომხეთის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. შედეგად, გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, რომ სამეულის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პროცესი დაიწყოს.

გვაქვს ასეთი მოცემულობა: ნატო და ევროკავშირი საქართველოს წევრად მიღებას არ აპირებს. 20 წელზე მეტია, გვეუბნებიან, რომ „კარი ღიაა“, მაგრამ რეალურად არ არის გადაწყვეტილი ჩვენი მიღება არც ნატო-ში და არც ევროკავშირში. მეორე პოლუსი რუსეთია. რუსეთთან ურთიერთობის სრული ნორმალიზება წარმოუდგენელია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ მოგვარდება. შესაბამისად, იმისათვის, რომ რომელიმე ძალის პირისპირ დაუცველები არ აღმოვჩნდეთ, საჭიროა „ვისესხოთ“ ძალა. პატარა სახელმწიფოებს ძალის „სესხება“ სჭირდებათ იმისთვის, რომ ეფექტიანად დაიცვან თავი.

ასეთად მესახება ზომიერი, ინტეგრირებული მოდელი ჩვენს უშუალო მეზობლებთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ანუ, სამხრეთკავკასიური სამეული. ვგულისხმობ მოდელს, რომელიც არც ისეთი ღრმა ინტეგრაციის იქნება, როგორიც, მაგალითად, ევროკავშირია. ქვეყნებს ექნებათ საერთო ბაზარი, საერთო საგადასახადო და საბაჟო სივრცე, კომპანიათა რეესტრი, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა... თუმცა, ეს ყველაფერი უკონტროლოდ არ უნდა ხდებოდეს, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, ვისაც სად უნდა, იქ შეძლოს დასახლება, ან გაუქმდეს მოქალაქეობრიობა და ა. შ... თუ ეს სახელმწიფოები საერთო ბაზრის ჩამოყალიბებაზე იფიქრებენ, ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნება, მივიღოთ ისეთი კანონი, როგორიც არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ჰქონდა. ნებისმიერი კომპანიის თუ ფირმის საკონტროლო პაკეტი

უნდა ეკუთვნოდეს ადგილობრივ მოქალაქეს, მინიმალური თანამფლობელი კი შეიძლება, სხვაც იყოს. ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანა დაცული იქნება. ასეთ კონგლომერატში გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, კონსენსუსის გზით უნდა მივიღოთ.

თითოეულ ამ სახელმწიფოს, ცალ-ცალკე, სერიოზული პოტენციალი აქვს. აზერბაიჯანი ცნობილია ენერგეტიკული სიმძლავრეებით, მას კასპიის ზღვის მეშვეობით გასასვლელი აქვს ცენტრალურ და შუა აზიის ქვეყნებში, სადაც ასევე ბევრი ენერგეტიკული რესურსია. სომხეთს უზარმაზარი და გავლენიანი დიასპორები ჰყავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოს აქვს გასასვლელი ოკეანეზე შავი ზღვის მეშვეობით, რითაც პირდაპირ ევროპასთან შეიძლება კავშირი. ამიტომ, თუ მოვახერხებთ ამ სამი სახელმწიფოს გაერთიანებას და საერთო ინტერესებისთვის შეკავშირებას, ვფიქრობ, მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობისა და კეთილდღეობის ცენტრი გავხდებით. არავინ ამბობს, რომ ეს მარტივად მოსაგვარებელი საკითხია, ამას წლები დასჭირდება. ქვეყნების პოლიტიკური სპექტრი და მოაზროვნე ნაწილი უნდა შეეგუოს ამ აზრს და იფიქრონ ამ მიმართულებით. თუ გონივრულად ვიმოქმედებთ, ეფექტიან შედეგს მივიღებთ. სამი სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ზომიერი ინტეგრაციული მოდელი, შესაძლოა, დიდი კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად გასაღები გახდეს. სამი ერის პოტენციალის გაერთიანება საერთო ინტერესისთვის დიდ შედეგს მოიტანს. შრომის დანაწილების, ფუნქციების განსაზღვრისა და ეკონომიკის გონივრული დაგეგმვა, სამხრეთ კავკასიას რეგიონისა და ევრაზიის მიზიდულობის ცენტრად აქცევს. რადგან სამივე ქვეყნის მოსახლეობა 17-მილიონს შეადგენს, ეს ალიანსი ბიზნესის რენტაბელობას გაზრდის. ჭკვიანური შრომის დანაწილებით და ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკით უმუშევრობის პრობლემები საბოლოოდ დაიძლევა, გაორმაგდება და გასამმაგდება სამივე ქვეყნის ეკონომიკა. დღეს სამივე სახელმწიფოს ეკონომიკა დაახლოებით $130 მილიარდია. „სამეულის“ ინტეგრირებული ეკონომიკის მოდელით 5-6 წელიწადში გაორმაგდება, ხოლო 10-11 წელიწადში გასამმაგდება. რაც ნიშნავს ხელფასების, პენსიების გასამმაგებას - მეტ ფულს ჰუმანიტარულ სფეროში: განათლებაში, ჯანდაცვაში, კულტურასა თუ სპორტში...

- წლების წინათ, ჯერ კიდევ ე.წ. ვარდების რევოლუციამდე, აქტიურად განიხილავდნენ „აბრეშუმის გზის“ პროექტს, რაც შემდეგ, რატომღაც, მიივიწყეს. ამ საკითხზე თქვენც არაერთხელ გისაუბრიათ. რეალურად, რა პერსპექტივას ჰპირდებოდა ქვეყანას ამ პროექტის განხორციელება?

- მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის ოპტიმალურია ე.წ. სამი ღერძის სტრატეგია. ეს ნიშნავს სამი ისეთი ინიციატივის წამოწყებას, რაც, ეკონომიკური ეფექტის გარდა, უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს მოგვიტანს.

პირველი ღერძი გახლავთ საკომუნიკაციო სატრანსპორტო დერეფნები საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მიმართულებით. ყველაზე დიდი ტვირთები ჩინეთს აქვს და ევროპისკენ მიმავალი ჩინური ტვირთის მომსახურება სერიოზულ შემოსავალს მოიტანს. გარდა ამისა, ინდოეთს აინტერესებს სახმელეთო გასასვლელი ევროპაზე - სომხეთის, საქართველოსა და ირანის გავლით და ეს ყველაფერი, საბოლოოდ, სერიოზული შემოსავალია ქვეყნისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველა სახელმწიფო, ვისი ტვირთიც საქართველოს ტერიტორიაზე იმოძრავებს, დაინტერესებული იქნება მშვიდობითა და სტაბილურობით ჩვენს ქვეყანაში.

მეორე ღერძი, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, გახლავთ ის, რომ როგორმე საქართველო ვაქციოთ ფინანსურ ჰაბად დიდი კაპიტალისთვის. თავის დროზე მქონდა კონსულტაციები უზარმაზარი ამერიკული ბანკის, „სიტიბანკის“ ვიცე-პრეზიდენტთან და მან დამიდასტურა, რომ რეგიონში თავისუფლად შეიძლება დაახლოებით 200 მილიარდი დოლარის მოზიდვა, როგორც მინიმუმ, თუ ქვეყნებს შევთავაზებთ საქართველოს ტერიტორიაზე ხელსაყრელი პირობებით თავიანთი კაპიტალის განთავსებას. ჩვენ ვიცით, რომ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკვე ურთიერთობს როტშილდების კომპანიასთან. საქართველოში რამდენჯერმე იყო ჩამოსული ქალბატონი არიელ დე როტშილდი და საქართველოს მთავრობამ მას ისეთი ფინანსური ჰაბის ხასიათის პროექტის მომზადება დაუკვეთა, რომელიც ბათუმსა და თბილისში განთავსდება. მე-18 საუკუნეში და უფრო ადრეც, როცა შვეიცარიამ გადაწყვიტა, რომ ევროპისთვის ასეთი ფინანსური ჰაბი ყოფილიყო, ფაქტობრივად, ნულოვანი გადასახადი დაუწესა მას, ვინც იქ თანხას განათავსებდა. ერთა-

5 გვ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვშია

— ბატონო დიმიტრი, რუსეთმა საქართველოსთან უვიზო რეჟიმი გააუქმა, აღდგა ფრენებიც. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?

— პირველ რიგში, დიდი მადლობა „საერთო გაზეთს“ ამ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტით დაინტერესებისთვის. ეს მხოლოდ ჰუმანიტარული ან ეკონომიკურ-პოლიტიკური კი არა, არამედ გეოპოლიტიკური აქტიც არის. საქართველომ და რუსეთმა დიდი ხნის შემდეგ ერთმანეთთან პირდაპირი დიალოგის გზით მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება გადაწყვიტეს, რაც გარეპოლიტიკურ ფაქტორებზე დამოკიდებული აღარ არის. ამან ის ძალები აღაშფოთა, რომლებიც მიეჩვივნენ, რომ რუსეთშიც და საქართველოშიც თავიანთი მარიონეტული ხელისუფლებები უნდა ჰყოლოდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სწორედ აშშ-დან იმართებოდა. აფხაზეთის კონფლიქტიც გარედან იყო ინსპირირებული, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მარიონეტები როგორც რუსეთიდან, ისე საქართველოდან. 1999 წელს რუსეთს გაუჩნდა ამბიცია, დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა, რისი შემოქმედიც მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ევგენი პრიმაკოვი იყო, რომელიც დამოუკიდებელ თამაშს აწარმოებდა. შედეგად, აშშ-მ ელცინს უნდობლობა გამოუცხადა. 1999 წელს, როდესაც ნატო სერბეთის დედაქალაქ ბელგრადს ბომბავდა, პრიმაკოვი აშშ-ში ვიზიტით მიფრინავდა, თუმცა მოულოდნელად განკარგულება გასცა, ვაშინგტონისკენ მიმავალი თვითმფრინავი ატლანტის ოკეანის თავზე მოატრიალებინა და მოსკოვში დაბრუნდა. ეს აშშ-სთვის პირველი გეოპოლიტიკური სილა იყო. შემდეგი ნაბიჯი იყო 2007 წელს მიუნხენის კონფერენციაზე პუტინის მიერ გაკეთებული ცნობილი განცხადება: საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყოო, რასაც არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. 2014 წელს ეს ყველაფერი პირდაპირ დაპირისპირებაში გამოიხატა, ვგულისხმობ მაიდანს, რაც რუსეთისთვის სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა, რადგან უკრაინის მიმართულებით ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროექტი უკვე რეალური ხდებოდა.

დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩნდა უნიკალური შესაძლებლობა, ერთმანეთთან ვისაუბროთ და ბევრ საკითხში კონსენსუსს მივაღწიოთ. ამან ჩვენი დასავლელი დაუძინებელი პარტნიორები გააგიჟა. მათ ეს შეაფასეს როგორც ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევა და აღებული ვალდებულებების შესრულებისგან გაქცევა. იცით, რომ 2017 წელს კონსტიტუციაში იძულებითი ჩანაწერი გაკეთდა ნატოსკენ სწრაფვასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 23 წლის შემდეგ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა, ხოლო 4 წლის მერე ფრენები აღდგა, რაც დასავლელი პარტნიორების უკმაყოფილებას იწვევს. 23 წლის წინათ რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება, საზღვარი ჩაეკეტა და საქართველოსთან სავიზო მიმოსვლა დაეწესებინა. 2012 წელს, როცა ხელისუფლება იცვლებოდა, ამერიკელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ეს უფსკრული კიდევ უფრო გაეღრმავებინათ და ქართულ-რუსული ურთიერთობები საფრთხის წინაშე დააყენეს. ვგულისხმობ ლაფანყურის სპეცოპერაციას, რა დროსაც ლიკვიდირებული იქნა დაჯგუფების თერთმეტი წევრი. სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის ანგარიშიდან გაირკვა, რომ ეს დაჯგუფება მომზადებას საქართველოში, შავნაბადას ბატალიონის ბაზაზე გადიოდა და საერთო ზედამხედველობას ამერიკელები უწევდნენ. ლაფანყურის საქმეზე საგამოძიებო კომისიაც შეიქმნა, თუმცა საქმე წინ არ წასულა, რადგან გამოძიებას წინ სწორედ ამერიკელები აღუდგნენ. შესაბამისად, დრო დასჭირდა იმას, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვა რეალურ ჩარჩოში მოქცეულიყო. 2013 წელს პრიმაკოვის სახელობის ცენტრი შეიქმნა. აქ დასმული ამოცანები პირდაპირ პასუხობდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიას. კერძოდ, ეს გახლდათ სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენა და რუსეთის ფედერაციასთან ვითარების დალაგება — დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და დეოკუპაციის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა. შესაბამისად, აღნიშნული ცენტრის დაფუძნება ლეგიტიმურად ჯდებოდა ხელისუფლების პოლიტიკური ამოცანების შესრულების ფორმატში, მაგრამ ეს ისევ და ისევ ამერიკელების დღის წესრიგს არღვევდა. პრიმაკოვის ცენტრს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. 2018 წელს ცენტრი გააქტიურდა. მე მის დირექტორობას დავთანხმდი. მთელი რესურსი რუსეთ-საქართველოს შორის სამოქალაქო პლატფორმის მშენებლობას, სახალხო დიპლომატიის განმტკიცებას მოვახმარე. ექვსი წლის განმავლობაში ცენტრის ბაზაზე 37 ქართველი ექსპერტი მოვიზიდე, გავააქტიურე რუს კოლეგებთან პირდაპირი დიალოგები, გავმართეთ კონფერენციები როგორც მოსოვში, ისე თბილისში. 2022 წელს გრიგორი კარასინთან შეხვედრას ოცდაათი ქართველი ექსპერტი ესწრებოდა. ეს კადრები მედიატერარიუმებმა აიტაცეს და განგაშის ზარი შემოსცხეს: პრიმაკოვის ცენტრი რაღაცას გეგმავს, რუსეთში ვიზიტებს ახორციელებს და ოპოზიცია საპასუხო დარტყმისთვის მოემზადოსო. კარასინმა განაცხადა: ქართულ-რუსული ურთიერთობები ნათელ ფერებში მესახებაო. ქართულ რეალურ პოლიტიკაში შეიქმნა გაფართოებული პლატფორმა — „სოლიდარობა მშვიდობისთვის“, რომლის ხელმძღვანელი მერაბ ჭიკაშვილია. პირველი შეხვედრა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოს სათათბიროსთან შვიდ დეკემბერს შედგა. ჩვენ რუსეთის პრეზიდენტს და ჩვენს ხელისუფლებას საზოგადოებრივი პეტიციის სახით წარვუდგინეთ არგუმენტები, თუ რატომ უნდა აღდგენილიყო ფრენები და სავიზო რეჟიმი. ამის შემდეგ კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა. 10 მაისს, უკვე რუსეთის პრეზიდენტის განკარგულებით, სავიზო რეჟიმი მოიხსნა და პირდაპირი ფრენებიც აღდგა. ნამდვილად არ ველოდი, ეს ნაბიჯი ასეთ ისტერიულ ხასიათს თუ მიიღებდა. საკითხი შემდეგნაირად დააყენეს: თუ საქართველო რუსეთთან პირდაპირ ფრენებს არ შეწყვეტს, ქართულ სახელმწიფოს სანქციებს დაუწესებენ. ჩვენ შეიძლება შეგვიჩერონ ფრენები ევროპაში, აშშ-სთან მიმოსვლა და კომუნიკირება, გააჩერონ სასწავლო კვოტები და ა.შ. ეს არის ქვეყნის შანტაჟი, რასაც რეაქციული ძალები ახორციელებენ. სავალალო ფაქტია, რომ ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველო დაზარალდეს, ყველაფერი კი უვიზო მიმოსვლას და აღდგენილ ფრენებს დაბრალდეს. ავიამიმოსვლით ის ქართველები სარგებლობენ, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობენ და წლების განმავლობაში სამშობლოში შემოვლითი გზით ჩამოდიოდნენ. აქვე გეტყვით, რომ გართულებულია საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი რუსეთში მცხოვრები ქართველებისთვის. ეკა გიგაურის უშუალო მხარდაჭერით დაკომპლექტებული კომისიის წევრებს პირდაპირი მითითება აქვთ, რომ ქართველები სამშობლოში არ შემოუშვან და საქართველოს მოქალაქეობა ნაკლებ ქართველს ჰქონდეს. მაგალითი ბევრია. ერთ-ერთია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნანა შამათავა და მისი შვილი გიორგი წურწუმია, რომლებსაც მოქალაქეობის მიღებაზე უარს მესამედ ეუბნებიან მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონი სოხუმში დაბადებული და ფოთში გაზრდილია. შემდეგ სასწავლებლად რუსეთში წავიდა, იქ დარჩა და წამყვანი კლინიკის მთავარი ექიმი გახდა. ნანა შამათავა საქართველოს ტერიტორიაზე სამი მილიონი დოლარის ღირებულების ქონებას ფლობს. მიუხედავად ამისა, მოქალაქეობას პრინციპულად არ აძლევენ. ანტიქართული ძალები დღესაც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ, საბოტაჟს უწევენ ქვეყანას, რათა ნოყიერ ნიადაგზე რევანშის უფლება მოიპოვონ. მკაცრი ხელის პოლიტიკა თუ არ გატარდა, როგორც ერი, დავსრულდებით. სამწუხაროდ, ძალიან დიდი ფინანსებია გამოყოფილი იმისთვის, რომ კოლექტიურმა პარაზიტებმა გლობალურ შედეგს მიაღწიონ, საქართველო ქართველებისგან დაიცალოს, რეგიონები ეთნიკური ქართველებისგან გააუცხოონ, ჩვენი ქვეყანა შაგრენის ტყავივით დააპატარაონ და სასურველ შედეგს მიაღწიონ.

— უვიზო რეჟიმისა და ფრენების აღდგენის შემდეგ გააქტიურდა საუბრები დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზეც. თუმცა, რიგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხების მოგვარების გარეშე ამ ურთიერთობას აზრი არ აქვს...

— დიპლომატიაზე უარის თქმა საკუთარი ქვეყნის ხარაკირის ტოლფასია. დიპლომატია არის შესაძლებლობა, პროცესი უარესობიდან უკეთესობისკენ შემობრუნდეს და პოლიტიკას რეალური იმპულსი მიენიჭოს. თუ დიპლომატია არ გაქვს, არც პოლიტიკა გაგაჩნია და აპრიორი, წაგებულ პოზიციაში ხარ. მაგალითად, იაპონიას კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით რუსეთთან პრეტენზიები აქვს, მაგრამ დიპლომატიურ ურთიერთობაზე უარს არ ამბობს. „ოკუპანტის“ ძახილი მიზნის მისაღწევად მომგებიანი არ არის. ანალოგიური მდგომარეობა აქვს ფინეთსაც, რომელიც რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტს. რაც შეეხება საქართველოს, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები მოსკოვშია. შევარდნაძე ამ ყველაფერზე ღიად საუბრობდა. სტოლტენბერგიც ამბობდა: საქართველო-რუსეთს შორის რიგი საკითხების გადასაჭრელად პირდაპირი დიალოგის არსებობაა საჭიროო. ის, ვინც ამბობს, დიპლომატია არ გვჭირდებაო, ან აბსოლუტურად გაუნათლებელი და ბეცია, ან კონკრეტული ზრახვები გააჩნია. მაშინ, როცა სოხუმში 330 ათასი, ხოლო ცხინვალში 60 ათასი დევნილი დასაბრუნებელი გვყავს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა კი — აღსადგენი, დიპლომატიაზე უარის თქმა არ შეიძლება! ნატო, ნატოს ძახილით შედეგს ვერ მივაღწევთ, ასე საბოლოოდ გაუცხოვდება აფხაზეთიც და ცხინვალიც. ჩვენ ლოდინის უფლება აღარ გვაქვს, ქმედითი ბერკეტების გამოყენებაა საჭირო. საქართველომ და რუსეთმა ერთმანეთისკენ ნაბიჯი უკვე გადავდგით და ახლა დროა, სწორედ დიპლომატიაზე ვიფიქროთ. მანამდე გასაკეთებელი ბევრია, მათ შორის, მხედველობაში მაქვს რვა ბლოკირებული დერეფნის აღდგენაც. დავუბრუნდეთ დიპლომატიას, ერთ საკმაოდ მნიშვნელოვან გარემოებაზე რატომღაც არავინ მსჯელობს: კერძოდ, 24 თებერვლის მერე მსოფლიო შეიცვალა. რუსეთმა არამეგობართა სიაში 55 ქვეყანა შეიყვანა. სიას შვეიცარია დაემატა, რომელმაც უარი თქვა ნეიტრალურ პოზიციაზე და ანტირუსული პოზიცია დაიკავა. რა მოჰყვება ამ ფაქტს? — რუსეთმა, რომელიც საქართველოში პოზიციონირდება როგორც შვეიცარიის საელჩოსთან არსებული ინტერესების სექცია, შვეიცარიასთან ურთიერთობაზე უარი უნდა თქვას. ისევე როგორც საქართველოს მოუწევს შვეიცარიის გავლით ფასილიტაციით ურთიერთობაზე უარის თქმა, რადგან ქართული ინტერესების სექცია ისევე, როგორც რუსული სექცია საქართველოში, მოსოვშიც არსებობს. რა უნდა ვქნათ, თუკი შვეიცარიის ფაქტორი გამოირიცხება?! გამოდის, ქართულ-რუსული ურთიერთობები პირდაპირი მოლაპარაკებების რეჟიმში უნდა გადავიდეს. ამ შემთხვევაში, დიპლომატია ქვეყანაში დროებით

სამხრეთკავკასიური სამეული

3 გვ.

წარმომადგენელს ირჩევს. ვფიქრობ, შვეიცარიის ფასილიტაციით დაწყებული ინტერესთა სექციები შენარჩუნდება პირდაპირი დროებითი წარმომადგენლებით, რუსეთის — საქართველოში და საქართველოსი — რუსეთში. ამ მიმართულებით დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებისთვის ხელსაყრელი პირველი ნაბიჯი კიდეც იდგმება. რეალურად, ჩვენ არ გაგვაჩნია ქართული წარმომადგენლობითი სავაჭრო სახლი მოსკოვში და არც საქართველოში გვაქვს რუსული სავაჭრო სახლი. არადა, ამ დროს სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. არ არსებობს სახელმწიფოები, რომელთაც ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გააჩნიათ და ამ დროს სავაჭრო ბრუნვა იზრდება. ეს ნიშნავს, რომ დიპლომატია უკვე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის აუცილებელი ინსტრუმენტი ხდება. მნიშვნელოვანია, რომ საზღვრები გაიხსნა, რომლის გადაკვეთა საქართველოს მოქალაქეს თავისივე კუთვნილი ავტომანქანით შეეძლება. დიპლომატიას ეფუძნება სოხუმისა და ცხინვალის თემებზე მოლაპარაკებაც. თქვენ იცით, რომ რუსეთმა მნიშვნელოვნად შეამცირა როგორც სოხუმის, ისე ცხინვალის სუბსიდირება. როგორ განახორციელებენ ეს კვაზისახელმწიფოები თავად საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას? — მათ საინვესტიციო გარემოს ძებნა მოუწევთ. ეს კი თბილისზე გავლით უნდა ვიგულისხმოთ, სხვა მოცემულობა ბუნებაში არც არსებობს. სერიოზული ნაბიჯები იდგმება ერგნეთის ბაზრობის აღდგენისკენაც. ეთნიკური ოსები ქართველებთან ურთიერთობების განახლებას მიესალმებიან.

— ბატონო დიმიტრი, გახშირდა საუბრები იმაზე, რომ თუ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ უარყოფს და ამ ტერიტორიებიდან ჯარს არ გაიყვანს, ჩაითვლება, რომ სამ სახელმწიფოს შორის, უბრალოდ, კონფედერაცია შეიქმნება. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?

— საქართველო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. მავანი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობა დაარწმუნოს, რომ ეს მცდარი გზა და არასასურველი გეოპოლიტიკური არჩევანია. რეალობა სხვაა — რუსეთში კარგად იციან, რომ საქართველოში არ არსებობს ისეთი თავმოყვარე მოქალაქე, რომელიც საქართველოს დაქუცმაცებას, დესუვერენიზაციას მხარს დაუჭერს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის ის წითელი ხაზი, რომლის გარეშე არავითარი მოლაპარაკება არ შედგება. გარკვეული ძალები მზად არიან, საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სოხუმისა და ცხინვალის გარეშე შევიდეს. ამის შესახებ ფადი ასლიმაც განგვიცხადა. ოთხი ათეული წელია, თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატია, მაგრამ ეუბნებიან: ახლო ათწლეულში არ არსებობს შანსი, რომ ევროკავშირის წევრი გახდეო. ასეთია გეოპოლიტიკური კონიუნქტურა. საქართველო სასპეკულაციო სივრცე, საჯილდაო ქვა, დაპირისპირების პოლიგონია. მას ცხვირწინ სტაფილო ჩამოუკიდეს და ეუბნებიან: მოგცემ მაპს, მაპზე უკეთესს, გაგხდი ასოცირების ხელშეკრულების სუბიექტად, არსებით პერსპექტივას გარდავქმნი კანდიდატობად და 30 წლის მერე ვნახოთ, რა იქნებაო. ეს უკვე ხომ ვნახეთ, 30 წელია, მოჯადოებულ წრეზე დავდივართ. მასმედიით გვესმის: ნატო, ევროინტეგრაცია... რის ფასად გვატყუებენ, როდემდე ვითმინოთ? ნაცვლად იმისა, ვიფიქროთ: საგარეო პოლიტიკური მოდუსი რაც შეიძლება სწრაფად შევცვალოთ, ისევ თავს ვიტყუებთ. ეს მითი უნდა დასრულდეს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ეს არის ქართულ-რუსული პირდაპირი მოლაპარაკებების საგანი, რომელიც რეგიონული თანამშრომლობის ფორმატშიც უნდა გადაწყდეს, რაშიც ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში აუცილებელია ბელორუსის ჩართვაც, რადგან ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და სტრატეგიული მოკავშირეა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია აზერბაიჯანიც. ირანი ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია, რომელთან ურთიერთობა უფრო ღრმავდება. თურქეთში გამართულ არჩევნებში ბრიტანულმა ძალებმა მარცხი იწვნიეს, ვფიქრობ, ერდოღანის თაოსნობით შესაძლებელია სისხლსავსე რეგიონული თანამშრომლობის ფორმატი ვიხილოთ, რომლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება, რასაც დაეფუძნება კიდეც საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დერთი ვალდებულება იყო, რომ შვეიცარიელებისთვის უნდა გაცემულიყო განთავსებული თანხის 4% იაფ და გრძელვადიან კრედიტად. ამის შედეგად გაძლიერდა შვეიცარია საუკუნეების განმავლობაში. ახლა უკვე ოთხი პროცენტი ძვირია, მაგრამ ერთი ან ორი პროცენტიც რომ დაწესდეს, საქართველოსთვის იდეალური იქნება. თუ 200 მილიარდს განათავსებ, გამოდის, რომ $2-დან $4 მილიარდამდე ყოველწლიურად გაიცემა იაფი და გრძელვადიანი სესხი საქართველოს მოქალაქეებზე და ქართულ კომპანიებზე. ამის რეალური შანსი არსებობს. მაგალითად, არაბულ ქვეყნებში, რომლებიც არც ისე შორსაა ჩვენგან, არ არის კლასიკური საბანკო სისტემა. ისლამი კრძალავს მევახშეობას, ამიტომ ისლამური ბანკებიც სპეციფიკურია. შესაბამისად, დეპოზიტზეც ვერ დებენ ისე თავისუფლად თანხებს, რომ გარკვეული სარგებელი მიიღონ. შესაბამისად, თუ მათ ნორმალურ პირობებს შევთავაზებდით, თანხების რაღაც ნაწილს ჩვენს ბანკებში განათავსებდნენ. გარდა ამისა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში უზარმაზარი თანხა ტრიალებს - გინდ, ცენტრალურ და შუა აზიის რესპუბლიკებში, გინდა აზრეგაიჯანში, თურქეთში, ევროპაში... ამიტომ საქართველო გეოგრაფიულადაც და ინფრასტრუქტურითაც ძალიან კარგი ადგილია ასეთი ფინანსური ცენტრის განსათავსებლად.

მესამე ღერძი, რომელიც ასევე საჭიროა ჩვენთვის, გახლავთ საერთაშორისო ორგანიზაციების სათაო ოფისების ან ფილიალების განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ათეულობით და ასეულობით დიპლომატი იქნება მუდმივად საქართველოში, გაიზრდება საქმიანი ტურიზმი და შესაბამისად - შემოსავლები, გაჩნდება დამატებით ბერკეტები ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით... ეს ყველაფერი თუ ერთად შეიკრა, ჩვენს ქვეყანას დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს.

ჩვენ გვაქვს უამრავი შესაძლებობა უკეთესი ცხოვრებისთვის, მაგრამ ხელი გვეშლება იმის გამო, რომ დავეთანხმეთ დასავლეთს იმ ნარატივში, რასაც ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსი“ ჰქვია და რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ნულოვან ან მინიმალურ განვითარებას ითვალისწინებს.

ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც უარს იტყვის ამ კონსენსუსზე, გახდება დასავლეთის სამიზნე და ფერადი რევოლუციების მეშვეობით შეეცდებიან მის დამხობას, რასაც უკვე ცდილობენ კიდევაც, რადგან ამ ხელისუფლებამ უარი თქვა ომში ჩართვაზე. ამისგან რომ თავი დავიზღვიოთ, ამიტომაც იქნება საჭირო სამხრეთკავკასიური სამეულის ჩამოყალიბება. აზერბაიჯანმა ეს გზა უკვე გაიარა. მათ გარისკეს, უარი თქვეს „ვაშინგტონის კონსენსუსზე“, რის გამოც იყო გადატრიალების მცდელობები ჰეიდარ ალიევის წინააღმდეგ. ილჰამ ალიევის წინააღმდეგაც მუდამ არსებობს რაღაც გეგმა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო აზერბაიჯანის ხელისუფლებამ. დღეს ისინი სუვერენულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ, რაც შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გაუძღვეს ქვეყნის ეკონომიკას ხელისუფლება. დღეს აზერბაიჯანს პატივს სცემენ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან მას სუვერენული, ძლიერი ელიტა მართავს ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

- რეალურად, როგორ წარმოგიდგენიათ საშუალო ხელფასის 1000-1500 დოლარამდე გაზრდა, რა უნდა გაკეთდეს ამისათვის?

- იმისათვის, რომ ხელფასები იყოს 1000-1500 დოლარამდე, საჭიროა, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდეს 20000 ამერიკულ დოლარს. ამიტომ მრეწველობაში უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში ყოველწლიურად არის ჩასადები ინვესტიცია მილიარდნახევრიდან 2 მილიარდ დოლარამდე. ამის რესურსი სახელმწიფოს აქვს, ჩვენ გვაქვს 5 მილიარდი დოლარი სავალუტო რეზერვი, რომლის გამოყენების უფლებას არ გვაძლევენ, ეს ხდება სპეციალურად, რადგან კონკურენცია არ გავუწიოთ განვითარებული ქვეყნების მრეწველობას. ეს თანხა განგვათავსებინეს უცხო ქვეყნების სახაზინო ვალდებულებებში, საიდანაც ვიღებთ წელიწადში 0.5%-ს, 1,2%-ს, ახალ ვალებს კი 4-5%-ად ვიღებთ. გარდა ამისა, ხედავთ, რომ გვაძლევენ თანხებს ხიდებისა და გვირაბების ასაშენებლად, მაგრამ საწარმოს ასაშენებლად არც ერთი კრედიტი არ მოუციათ, არც ერთი ორგანიზაციიდან და არც ერთი ქვეყნიდან.

ძირითადად, ჭარბწარმოებაა მსოფლიოში ყველა სფეროში, ვერ ნახავთ სფეროს, სადაც დეფიციტია. გამართულია საწარმოო ტექნოლოგიები. ერთ ხაზს შეიძენ და ის ხაზი თითქმის ყველაფერს აკეთებს. ამიტომ, ვინაიდან ასე გამარტივდა პროცესი, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი ადგილობრივი საწარმო, საკუთარი ბაზარი დაიცვა. ქართული ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და ღიაა, სადაც ნებისმიერი იმპორტული საქონელი უპრობლემოდ შემოდის. ეს კი ჩანასახშივე კლავს ისეთ ინდუსტრიულ წამოწყებას, რომელიც კონკურენციას ვერ უძლებს. ხშირ შემთხვევაში, საქონელი დემპინგური ფასებით შემოდის, რათა ადგილობრივი კონკურენტი მოიშორონ. სხვა ქვეყნები, ვისაც საქონელი შემოაქვს, სერიოზულ სუბსიდირებას უკეთებენ თავიანთ მეწარმეებს. შემოტანილი იმპორტირებული საქონელი მოსაკრებელით უნდა იბეგრებოდეს სუბსიდიის საკომპენსაციოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება. ეს არის არასამართლიანი კონკურენცია, რის გამოც ვერ ვითარდება მრეწველობა. ამ დროს მრეწველობა ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს.

ზოგადად, სიმდიდრე სამი ძირითადი წყაროს საშუალებით გროვდება: ესაა ცოდნა, მწერველობა და ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივი რესურსები გვაქვს, მაგრამ არც იმდენი, როგორც, მაგალითად, საუდის არაბეთს; ცოდნა გვქონდა და გავფლანგეთ. ახალ თაობას არ ვზრდით ისე, რომ მათი ცოდნით ქვეყანამ შემოსავალი მიიღოს; მრეწველობის განვითარება კი აკრძალული გვაქვს, რათა კონკურენცია არ გავუწიოთ განვითარებული ქვეყნების მრეწველობას.

ნონა ქარქაშაძე

ეს დაკვეთაა! უკრაინა საკუთარი ინიციატივით არაფერს აკეთებს

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, პრემიერი კატარში ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით წარსდგა. როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას?

— ჩემი აზრით, პრემიერი, ზოგადად, თანმიმდევრულობით გამოირჩევა. ეს კატარში მისმა გამოსვლამაც დაადასტურა. მეორე მხრივ, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია იმ ხაზის გატარება, რაზეც ღარიბაშვილმა დოჰაში, რეიკიავიკში და ბუდაპეშტში ისაუბრა. ანუ, პრემიერმა კატარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენულია და მას ყველა ქვეყანამ ისევე უნდა სცეს პატივი, როგორც ჩვენ ვცემთ პატივს მათ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. აქამდე, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ტრადიციად იყო ქცეული, რომ ქვეყანა გარედან მართული უნდა ყოფილიყო, რაც, სხვათა შორის, ჩვენს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყნის გარედან მართვა უკვე დასრულდა, მთავარი თავად ქართველი ხალხია და საქართველო სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხელყოფას აღარასდროს შეეგუება. ეს ხაზი ლაიტმოტივად გასდევდა მის ყველა გამოსვლას უცხოეთში, მათ შორის, კატარშიც. პრემიერს აბსოლუტურად სწორი პოზიცია აქვს ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, სტრატეგიულ მნიშვნელობასა და მსოფლიოს ახალ გადანაწილებაში საქართველოს როლზე. მან საერთაშორისო ტრიბუნიდან მსოფლიოს ორი მთავარი მესიჯი გაუგზავნა: პირველი, ჩვენს სუვერენიტეტს ყველამ პატივი უნდა სცეს და მეორე, ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომ მსოფლიოს ახალ გადანაწილებაში ერთ-ერთი სერიოზული მოთამაშე ვიყოთ.

— კატარში ღარიბაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით ჩვენს მეგობრებს სწორი პოზიცია არ ჰქონდათ...

— დიახ, დასავლეთს აგვისტოს ომის მიმართ სწორი პოზიცია ნამდვილად არ ჰქონია. ღარიბაშვილმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა: დასავლეთი ჩვენგან რუსეთის წინააღმდეგ ყოვლად გაუგებარი სანქციების დაწესებას ითხოვს, არადა, 2008 წლის ომის დროს, როცა პატარა საქართველო რუსეთს ებრძოდა, მისთვის სანქციები არავის დაუწესებია. მეტიც, რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობა იყო გაჩაღებულიო. ეს შეურაცხმყოფელია. საქართველოს ტერიტორიების 20% აქვს დაკარგული ისევე, როგორც უკრაინას. რა გამოდის, უკრაინის 20% ღირებულია და საქართველოსი — არა?! თურმე, რუსეთს სანქციები უნდა დავუწესოთ. 2008 წლის ომის დროს უკრაინა რუსეთთან ჩვეულებრივად ვაჭრობდა. ის მაშინ რუსეთის წინააღმდეგ არავითარ საერთაშორისო დოკუმენტებს არ შეერთებია. ჩვენ კი 500-მდე ასეთ დოკუმენტს შევუერთდით. ასეთი რამ ჩვენს მხარდასაჭერად არც უკრაინას გაუკეთებია და არც არავის. ასე რომ, ჩვენ არ ვართ ვალდებული, ის გავაკეთოთ, რაც ჩვენი ომის დროს სხვებს არ გაუკეთებიათ. ეს სწორი მესიჯი იყო.

— ბუდაპეშტში პრემიერის გამოსვლა, ოჯახის სიწმინდეზე, სამშობლოს სიყვარულზე საუბარი პროვოკაციად შეაფასეს. რამ გააღიზიანა ევროპა?

— დასავლეთი — ეს არის ნეოლიბერალური ფაშისტური მმართველობა, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კონსერვატორულ აზროვნებასთან და მენტალიტეტთან. არადა, ოჯახი კონსერვატორული პლატფორმის მთავარი საყრდენია. ბუნებრივია, დასავლეთი უნგრეთისა თუ საქართველოს პირველი პირების მიერ ოჯახის ინსტიტუტის სიწმინდეზე საუბარს ფაშისტურ ლიბერალიზმზე შეტევად აღიქვამს. ფაშისტური ლიბერალიზმი ტრადიციულ ოჯახებს — ქალისა და მამაკაცის ქორწინებას ებრძვის, ხოლო ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ხელს უწყობს. ანუ, ლიბერალიზმი ერის გამრავლების, ტრადიციული ქორწინების წინააღმდეგ ილაშქრებს.

— ოპოზიცია შფოთავს: ხელისუფლებას სურს, საქართველო რუსეთის გუბერნიად აქციოსო. ანუ, დასავლეთის კოლონია თუ ვიქნებით, მისაღებია?

— ამ ადამიანებისგან გასაკვირი არაფერია. ნაცები ძალაუფლების მინიჭებას რუსეთისგან რომ მოელოდნენ, დამიჯერეთ, მათზე ისეთივე აღტაცებით ისაუბრებდნენ, როგორც ამას, სააკაშვილის თამადობით, 2008 წლის ომის შემდეგ აკეთებდნენ. მიშა რუს ტურისტებს აეროპორტებში, საბაჟოებზე საჩუქრებით ხვდებოდა. დიახ, რუსების ხელშეწყობით ძალაუფლებაში მოსვლის მოლოდინი რომ ჰქონდეთ, მათ ახლაც ისევე გაეგებოდნენ ფეხქვეშ. სააკაშვილი არ იყო 2008 წლის სექტემბერში რუსეთთან სავიზო რეჟიმი ცალმხრივად რომ გააუქმა?! და ეს მაშინ, როცა რუსეთიდან ქართველებს აქ ჩამოსასვლელად ვიზები სჭირდებოდათ! სააკაშვილი, „ნაცმოძრაობა“ რუსეთთან „შეძრომის“ პოლიტიკას ატარებდნენ, რადგან ეგონათ, ასე ძალაუფლების შენარჩუნებას შეძლებდნენ. ასე არ მოხდა და ნაცებმაც რუსეთის ლანძღვა დაიწყეს. ანუ, ნაცები მას გაეგებიან ფეხქვეშ, საიდანაც ძალაუფლების მოლოდინი ექნებათ — ამას დასავლეთი ერქმევა თუ ჩრდილოეთი, მნიშვნელობა არ აქვს. აი, ეს არის მათი პოლიტიკა. არავის ეგონოს, რომ დასავლეთს გარკვეული პრინციპების ან იდეოლოგიაში თანხვედრის გამო „უძვრებიან“. მათი პრინციპებიც, იდეოლოგიაც და სხვა დანარჩენი, ძალაუფლების დაბრუნებაზე გადის.

— ოპოზიცია რუსეთთან ფრენების აღდგენასაც აპროტესტებს და უწყვეტი აქციებით იმუქრება...

— თანაც ამას ევროინტეგრაციის გზიდან გადახვევას უკავშირებენ, რაც აბსოლუტურად ალოგიკურია. ვერავინ ამიხსნა, თუკი შეიძლება ქართველი მოსკოვიდან სომხეთში, ბაქოში ან თურქეთში ჩაფრინდეს, ანუ შემოვლითი გზით თავის ქვეყანაში შემოვიდეს, პირდაპირი რეისით მისი ჩამოფრენა რატომ არის პრობლემა?! ანუ, მან რაც შეიძლება მეტი ფული უნდა ხარჯოს და სხვა ქვეყნის ბიუჯეტი შეავსოს?! რატომ ატეხეს ერთი ამბავი, რუსეთს ეს ქმედება პლუსად რომ არ ჩაეთვალოს?! მთავარი ხომ ჩვენი მოქალაქეების ინტერესებია. როგორ შეიძლება, პირდაპირი ფრენები ქვეყნის ინტერესში არ იყოს და შენი მოქალაქეების შემოვლითი გზით მგზავრობა მოგწონდეს?! ეს ხომ მავნებლობაა. თუ გლეხი ვიზაში ფულს არ გადაიხდის, თავის პროდუქციას რუსეთში ჩაიტანს და ამით ორ კაპიკს იშოვის, რატომ არის ეს ევროინტეგრაციის გზაზე ბარიერი?! რად გვინდა ისეთი ევროპა, რომლის ინტერესი ეკონომიკურად ფეხზე დამდგარი ქვეყანა არ არის!

— ქალბატონო ნანა, უკრაინის ანტიკორუფციული სააგენტოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნა გაჩნდა. რით არის ეს განპირობებული?

— ეს დაკვეთაა. უკრაინა ხომ საკუთარი ინიციატივით არაფერს აკეთებს. როგორ შეიძლება უკრაინისთვის ივანიშვილი საფრთხეს წარმოადგენდეს?! ჩვენი ქვეყანა, ჰუმანიტარული დახმარებიდან დაწყებული, რუსეთის წინააღმდეგ არაერთ დოკუმენტზე მიერთებით დამთავრებული, უკრაინის მხარდასაჭერად ყველაფერს აკეთებს. რატომ არის მათთვის ივანიშვილი მიუღებელი — მეორე ფრონტი რომ არ გახსნა?! დიახ, ივანიშვილმა რუსეთის იმიჯის დაზიანების მიზნით საკუთარი ქვეყანა რომ არ გაანადგურა, ამისთვის დევნის დასავლეთი. თვითონ პირდაპირ ვერ მოგვიწოდებენ: მეორე ფრონტი გახსენითო, სამაგიეროდ, ამას თავის მონებს — უკრაინის ხელისუფლებას ახმოვანებინებენ. ივანიშვილი უკრაინაში თუ ვერ ჩავა, ამით არაფერი დააკლდება, ან კი სად უნდა ჩავიდეს — ზელენსკიმ და მისმა გარემოცვამ ქვეყანა მიწასთან გაასწორეს. ივანიშვილს კი არა, უკრაინელებსაც აღარ უნდათ იქ დაბრუნება. მეორე ფრონტის იდეას მაინც არ ეშვებიან. ისინი ზელენსკის ხელმძღვანელობით გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლები არიან.

— ოპოზიციამ ქვეყნის მტრობას არც 26 მაისს დაანება თავი — ევროკავშირის დროშის გარეშე ჩაიარა ზეიმმაო. რა შუაშია 26 მაისთან ევროკავშირის დროშა?

— 26 მაისთან კი არა, ევროკავშირის დროშა, საერთოდ, საქართველოსთან არაფერ კავშირში არ არის, რისი არცოდნაც გაუნათლებლობისა და უმეცრების შედეგია. ეს მოშას მოფიქრებული სამარცხვინო პიარის ნაწილი იყო. სააკაშვილის დროს ევროკავშირის წარმომადგენლები საქართველოში რომ ჩამოდიოდნენ, უკვირდათ, რატომ ფრიალებს თქვენთან ევროკავშირის დროშა. დროშამ, რომელიც ამ ორგანიზაციის წევრი 28 ქვეყნის სიმბოლოა, მის რიგ ქვეყნებშიც კი არ ფრიალებს, საქართველოში რატომ უნდა იფრიალოს. რა სიმბოლოა ეს დროშა ქართველებისთვის — „ჩვენ გვინდა ევროკავშირში“-ს სიმბოლო? სურვილების ამსახველი დროშა გაგიგონიათ?! ასე რომ, არც 26 მაისს, არც 27-ში და არც 28-ში, სანამ ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ გავხდებით, ეს დროშა ჩვენთან არაფერ შუაშია! ხომ ჩაიარეს 26 მაისს ევროკავშირის დროშებით. ხოდა, წაიღონ ახლა და სახლში დაიფინონ.

— ნაცებს რევოლუცია სწყურიათ, ამის საბაბად ხან რუსული კანონი მოიგონეს, ხან ფრენები...

— ნეტავ, რით აწყობენ რევოლუციას — მომხრეებს საკუთარ პარტიაშიც ვეღარ პოულობენ და ერში როგორ უნდა იპოვონ. ნაცები უკვე გუშინდელი დღეა. მარტივ მამრავლებად იშლებიან. მათ ხომ კრიმინალის გარდა, არაფერი აერთიანებთ. ერთადერთი, რაც შეუძლიათ, გლობალური ომის პარტიასთან ერთად პროვოკაციების მოწყობაა, რათა ქვეყანა დააზიანონ. ქვეყნის შიგნით მათ მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა ნულის ტოლია. ახლა ბაძიბუძობენ, 50 ათასი კაცი უნდა გამოვიყვანოთ ჟუჩაშიო. ჯერ 50 კაცი მოიძიონ თუნდაც საკუთარ პარტიაში და 50 ათასი ადამიანის გამოყვანაზე მერე ილაპარაკონ.

— ზურაბიშვილი 31 მაისს ევროპარლამენტში გამოვა. რა მოლოდინები გაქვთ?

— ჯერ ეს გამაგებინეთ, ბრიუსელში როგორ უნდა ჩაფრინდეს, როცა ეროვნულ ავიახაზებს ბოიკოტი გამოუცხადა. საქართველოს სახე — პრეზიდენტი ჯერ სომხეთში, აზერბაიჯანში ან თურქეთში უნდა ჩავიდეს (იქ მიიწვია ვინმემ, თუ ვინ დახვდება?) და ასე ბომჟივით იაროს ქალაქ-ქალაქ? ამ ვიგინდარა ქალმა ქართულ ავიახაზებს ბოიკოტი გამოუცხადა. გარდა ამისა, ვისი სახელით უნდა გამოვიდეს ევროპარლამენტში? — ხალხი, რომელმაც აირჩია, დღეს მისი დაუძინებელი მტერია. ვინც ხმა მისცა და პრეზიდენტად მოიყვანა, მათ დაუპირისპირდა, უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი უმცირესობის პრეზიდენტად იქცა. უფრო სწორად, უმცირესობის უმცირესობის პრეზიდენტი გახდა, რადგან იმ უმცირესობიდანაც 80% მას აგინებს. ამ ქალს პროვინციულ-ფაშისტური აზროვნება აქვს. ეს არის პარიზში გაზრდილი ადამიანი? ქსენოფობიაა დასავლური კულტურა?! აქვე აღვნიშნავ, რომ 26 მაისს წარმოთქმული სიტყვა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მან ბევრი ისაუბრა ევროინტეგრაციის უზენაეს მიზანზე, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე. მეტიც, მეორე დღეს დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 12-წუთიანი გამოსვლის ერთი მესამედი პროტოკოლის კრიტიკას მიუძღვნა, დაიჩივლა, რომ პრეზიდენტს პროტოკოლი სათანადო პატივისცემით არ ეპყრობა. რა გითხრათ, ეს ქალი სულ სხვაგანაა და საქართველო — სხვაგან. იგი ვერაფრით გახდა ქართველების პრეზიდენტი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რუსეთსა და აშშ-ს მძიმე „საქორწინო“ კავშირი აქვთ

„ლაკასა და მისი რაზმის“ მიერ ყვარლის ტბაზე ანტიპუტინისტი მექორწილეების დევნამ ის დრო გამახსენა, ჯო ბაიდენი ვიცე-პრეზიდენტის რანგში თბილისში რომ გვესტუმრა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მაგრამ დღემდე არ ვიცით, რატომ. კაი სიძესავით კი იყო გამოწკეპილი და, ეტყობა, ქალის სანახავად იყო ჩამოსულიო, — ქირქილებდნენ მაშინ.

არა, საპატარძლოს სანახავად კი არა, ჯოს სახით აშშ იყო ჩამოსული, რადგან, საკუთარ თავზე თუ არ უწვნევია, გადმოცემით მაინც იცოდა, რომ საქართველო კაცების ქვეყანაა და სანამ ბოლო კაცი იქნება საქართველოში, კაცების ქვეყნადვე დარჩება. ჯოს სხვა „საქმე“ ჰქონდა, თუმცა, ეს

სულაც არ უშლიდა ხელს გეგმის — „გადავაქციოთ საქართველო გაურკვეველი სქესის უსამშობლო არსებების ქვეყნად“ განხორციელებაში.

ეს ის დრო იყო, როცა აშშ და რუსეთი ერთმანეთთან დასაახლოებელ გზებს ეძებდნენ და საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ. ამავდროულად, აშშ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (უკვე მის მოკავშირეებს) უყვავებდა, რუსეთი კარგი ბიჭია, ნუ გეშინიათო.

ძალიან საინტერესო მომენტია, დღევანდელ დღესთან თუ პარალელს გავავლებთ. მაშინ, იმავე ჯო ბაიდენმა, რომელიც სრულ ჭკუაზე იყო (მაშინაც და ახლაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია განსაზღვრავს მოქმედი პრეზიდენტის პოლიტიკურ ორიენტაციას, იმ დროს ბარაკ ობამასი) მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს, მაგრამ გარკვევით მიგვანიშნა, რომ ომი სეპარატისტულ რეგიონებთან აღარ უნდა განმეორდეს; ახლანდელი იგივე ჯო (მისი ადმინისტრაცია), ხან აფხაზეთი-სამაჩაბლოსკენ საომრად გვეჯიკავება ტერიტორიების დასაბრუნებლად, რომელიც რუსეთს აქვს ოკუპირებული და ხან — უკრაინის მხარდასაჭერად და იმავე რუსეთისთვის მეორე ფრონტის გასახსნელად.

მაშინ გვეშინოდა, აშშ-ის რუსეთთან შეთანხმება საქართველოს ხარჯზე მოხდებოდა, მაგრამ დაგვამშვიდა ბაიდენმა, აშშ-ს სრულებით არ მოსწონს, რაც რუსეთმა ჩაიდინაო და დაგვმოძღვრა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზებით არის შესაძლებელი — სეპარატისტები თვითონ მოინდომებენ, რომ დაუბრუნდნენ ძლიერ და აყვავებულ საქართველოსო და რუსეთის გასაგონად დააყოლა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობა არ ისახავს მიზნად „რეგიონში გავლენის სფეროს“ შექმნასო. ასაყვავებლად რა მოიმოქმედა „მეგობარმა“ აშშ-მ, კი ვხედავთ, ფაბრიკა-ქარხნების აგუგუნების ნაცვლად ნჯო-ები და ლგბტ თემი ააგუგუნა, კაცი კაცს აღარ ჰგავს, ქალი — ქალს, პრეზიდენტი — პრეზიდენტს და ადამიანი — ადამიანს...

რუსეთმა პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღების უფლებას არ მისცემდა. ბაიდენის ვიზიტის დროს, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ობამას ადმინისტრაციის დაყოლიებას საქართველოს ხელახალი შეიარაღების გადმოცემის შესახებ;

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად აცხადებდა, რომ რუსეთი სამხედრო თანამშრომლობას შეწყვეტდა ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც თბილისს იარაღს მიაწვდიდა“, — წერდა „გარდიანის“ კორესპონდენტი.

პარალელურად, „თეთრი სახლი“ საქართველოსა და უკრაინას ამშვიდებდა, რომ რუსეთ-აშშ-ის შორის ურთიერთობის დათბობა მათ არ დააზარალებდა.

რა ქენქერაც ახლაა ჯო ბაიდენი, ისეთი უპირო და ქენქერა იყო მაშინაც. ეტყობა, მართლაც ასეთია და ამიტომაც არგებენ ამ როლს. აბა, რა სახის თანაგრძნობა იყო, როცა მოგვისამძიმრა 2008 წლის 5-დღიანი ომის შემდგომ, წლისთავზე, მხარს ვუჭერ „ერთიან საქართველოს“, ვინაიდან, შარშანდელი კონფლიქტის დროს დაკარგა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რომელთა დამოუკიდებლობა რუსეთმა უკვე აღიარაო და საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ოპოზიციას „ქვეყანაში დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ“ მოუწოდა.

აშშ, სიტყვიერად, მანამდეც საქართველოს მხარდამჭერი იყო, მაგრამ სააკაშვილის ფაშისტური პარტიის გარდა, ვერავინ გრძნობდა იმ რაღაც მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით აქეთ-იქით მქროლავი ფშუტე თავთავი — სააკაშვილი, დემოკრატიის შუქურად მონათლეს, ის ყველასთვის მხოლოდ „სუკინ სინი“ იყო, ოღონდ მათი „სუკინ სინი“. ამიტომაც, ამერიკული მხარდაჭერა არც მისთვის (და მისი ხელისუფლებისთვის) აღმოჩნდა უსაზღვრო, მოსკოვმა კი თადარიგი დაიკავა და საქართველოს „რემილიტარიზაციის“ შესახებ მკაცრი პოზიცია კიდევ ერთხელ გამოხატა.

ამ ვითარებაში ახალი სკანდალი აგორდა აშშ-ში. მიუხედავად იმისა, რომ ჰილარი კლინტონი უარყოფდა ტერორისტებისთვის იარაღის მიყიდვის ფაქტებს აშშ-ის სახლმწიფო მდივნის პოსტზე მუშაობისას, ჯულიან ასანჟი კი ამტკიცებდა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტური ფაქტები ჰქონდა.

სხვათა შორის, **The politicalinsider.com**-იც იუწყებოდა, რომ ობამას მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს ჰილარი კლინტონმა ყატარში ამერიკული იარაღის წარმოების ბრძანება გასცა, ყატარს კი კადაფის ხელისუფლების დამხობის მომხრეების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და იარაღის მიწოდების ვალდებულება ჰქონდა; ყატარი, ასევე, აფინანსებდა და იარაღს უგზავნიდა ტერორისტულ დაჯგუფება „ალ ქაიდას“, რომელიც, თავის მხრივ, ასადის ხელისუფლებას ებრძოდა.

ამასთანავე, ჰილარი კლინტონს წამყვანი როლი ჰქონდა ე.წ. „სირიული ამხანაგობის“ ორგანიზებაში, რომელშიც შედიოდნენ „ალ ქაიდა“ და „ისლამური სახელმწიფო“, რომლებსაც მხარი უნდა დაეჭირათ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისთვის ასადის რეჟიმის შეცვლაში.

ჯულიან ასანჟი ამტკიცებდა, რომ ჰილარი კლინტონის მიერ გაგზავნილი 1700 ელექტრონული წერილი პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ იგი ამ ორ ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა.

რუსეთის ფედერაციის საჰაერო-კოსმოსური ძალების სტრატეგიული დანიშნულების დამრტყმელი თვითმფრინავები ჩაფრინდნენ ირანში და საჰაერო-სამხედრო ბაზა „ჰამადანზე“ განთავსდნენ. საიდუმლო არავისთვის იყო, რომ აღნიშნული ბაზიდან შესრულდებოდა საბრძოლო დავალებები სირიის მიმართულებით, ასევე, მოხდებოდა რუსეთის სამხედრო კუთხით გააქტიურება ერაყის მიმართულებითაც, სადაც ამერიკის პოზიცია შედარებით მყარი ჩანდა.

ირანის აეროდრომებიდან სირიაში განხორციელებული ავიადარტყმებისა და თურქეთთან ურთიერთობის დათბობის პარალელურად, პეტერბურგისა და ფსკოვის ტერიტორიებზე მასიური სამხედრო წვრთნები გამართა. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ფარგლებში წვრთნებში მონაწილეობდნენ: ბელორუსის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და სომხეთის სამხედრო ძალებიც. წვრთნები ესტონეთისა და ლატვიის მოსაზღვრედ სამი დღის განმავლობაში „ურთიერთავსებადობა-2016-ის“ სახელით მიმდინარეობდა. ოპერაციის სიმულიაცია გულისხმობდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მტრული ჯარების შემოჭრის განეიტრალებას. საქმეში ჩართული იყო რუსეთის 50-მდე თვითმფრინავი და ქვეითი შენაერთები, რომელთა რაოდენობა გასაიდუმლოებულია.

ოპერაციის დაწყებამდე მტერს ასე აფრთხილებდნენ: „NATO-ს ჯარისკაცებო, დაყარეთ იარაღი და ასწიეთ ხელები! თქვენ არ ხართ მშვიდობისმყოფელები და იმყოფებით უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე! თქვენი მოღალატეობრივი შემოჭრით თქვენ ხელი შეუშალეთ უდანაშაულო ქვეყნის მოსახლეობის მშვიდობიან ცხოვრებას. თქვენ დამარცხდებით სამართლიანი შურისძიებითა და რისხვით იმ ხალხის მიერ, ვინც არასოდეს დამარცხებულა ომში. დაყარეთ იარაღი და შეწყვიტეთ თქვენი ლიდერების თოჯინებად ყოფნა!“ გაფრთხილება რამდენიმე ენაზე, მათ შორის გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა.

რუსეთის წარმომადგენელმა NATO-ში ალექსანდრ გრუშკომ მშვიდად განაცხადა: ვფიქრობ, NATO-ს ლიდერები ამას ყურადღებით აკვირდებიანო...

პარალელურად — კასპიის ზღვაზე რუსებმა დაიწყეს სამხედრო-საზღვაო ძალების მასიური წვრთნები ფრთოსანი რაკეტების „კოლიბრის“ გამოყენებით, რომლის მთავარი ამოცანაა ოპერატიულ-სტრატეგიული ზონის ფარგლებში დარტყმების მიყენება სირიაში მოქმედი ახალი პრო-ამერიკული კოალიციის ძალების წინააღმდეგ (ყოფილი „ჯაბჰათ-ან-ნუსრას“ დაჯგუფება და მათთან კოალიციაში მოქმედი „სირიის თავისუფალი არმია“).

მსგავს წვრთნებს ახორციელებდა რუსული ხმელაშუაზღვისპირული სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული ესკადრილია.

ამას ერთვოდა ისიც, რომ ასადის ხელისუფლებამ თავის სტრატეგიულ მოკავშირეს — რუსეთს, უვადო საკუთრებაში განკარგვით გადასცა სამხედრო-საჰაერო ბაზა „ჰმეიმიმი“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბაქოს სამიტის შემდეგ და ახალი რეგიონული უსაფრთხოების მოდელის ამოქმედების შედეგად, რუსეთი კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდა.

ფაქტობრივად, ირანი და ერაყი ღიად შეუერთდნენ რუსეთს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ის სირიის ტერიტორიაზე აწარმოებდა. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ მიღებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ეს ქვეყნები თავიანთი საჰაერო სივრცის გამოყენების უფლებას აძლევენ რუსეთს ფრთოსანი რაკეტების „კოლიბრის“ აფრენა-დაფრენისთვის და განცხადებიდან ორ საათში „ჰამადანიდან“ აფრენილმა ბომბდამშენებმა ალეპოს მიმდებარე ტერიტორიის მასირებული დაბომბვა დაიწყეს, სადაც მოწინააღმდეგის პოზიციები იყო დაფიქსირებული.

თუ აშშ და საუდის არაბეთი შეწყვეტენ ამა თუ იმ სახით სირიაში ტერორისტების მხარდაჭერას, რადიკალ ისლამისტებზე თუ უახლოეს ხანში არა, უახლოეს თვეებში მაინც გავიმარჯვებთ, — განაცხადა რუსეთის სამხედრო გენერალიტეტმა და... ახლა აღარც გვახსოვს, რა დღეში იყო სირიელი ხალხი...

სხვები თვითონ მიხედავენ საკუთარ თავს, ჩვენ რა ვქნათ, საქართველომ, რომელიც რეგიონში აშშ-ის ერთადერთ სატელიტად დავრჩით, ყველა ჩვენი მეზობელი კი რუსეთთან გაერთიანდა უსაფრთხოების, დაზვერვის, კონტრაზვერვისა და გლობალური ეკონომიკური საკითხების ირგვლივ, მხოლოდ „ოკუპანტი“ ვუძახოთ და თვალწყლიანებმა ენა ვუჩლიქოთ მეორე (მესამე, მეოთხე), ჩვენივე ნებით თავსმოხვეულ ოკუპანტს?

ქენქერა ჯომ მაშინვე ერთ სიბრტყეში მოგვათავსა საქართველო და უკრაინა, გაუგებარი კრიტერიუმებით ასე შეგვაწყვილეს რატომღაც, ეს ურთიერთკავშირი დაღვით დაგვასვეს და ამიტომაც გვიკიჟინებენ ახლაც მეორე ფრონტის გახსნას უკრაინის სასარგებლოდ. დიდი ამბავი, 26 000 ქართველი სამხედრო დაიხოცება, სანაცვლოდ, 65 000 (ასე გამოუთვლიათ) რუსი ჯარისკაციც მოკვდებაო... ეს ვინმეს ნორმალურად მიაჩნია?!.

მაშინ ჯომ განაცხადა, რომ მოსკოვს ყოფილი საბჭოთა სივრცე „პრივილეგირებული“ გავლენის სფეროდ მიაჩნია და ეს კარგად იცის საქართველომაც და უკრაინამაცო. ამასთანავე, ეჭვი გამოთქვა, არ მგონია, მისი გადარწმუნება შევძლოო.

შენ ჩემის ქენქერავ, ვიცე-პრეზიდენტის რანგში თუ აზრზე იყავი, პრეზიდენტის რანგში ბუნდოვნად მაინც აღარ გახსოვს, რის აზრზე იყავი?

რა პერიოდიდანაც ვიხსენებ, მანამდე, მაშინ და მომდევნო წლებშიც, ერთმანეთს ებმოდა პოლიტიკური და სამხედრო სიგიჟეები, რომლის უცვლელი მონაწილეები აშშ და რუსეთი იყვნენ, სადაც აუცილებელი იყო ვიღაც მესამეც, არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იქნებოდა, ოღონდ კი ყოფილიყო. ფრანგული გამოთქმა გამახსენდა: საქორწინო კავშირი ისეთი მძიმეა, ზოგჯერ სამმა უნდა ზიდოსო...

აღსდექ, საქართველო!

როდემდე უნდა ვიყოთ ამ აუტანელი ნეფე-პატარძლის სასთუმალთან დარჭობილი, ხან სანთლის დამჭერად და ხან პოლიტსექსის მესამე წევრად?!

ზურა ოშხერელი

სალომეამ საქართველოს პრეზიდენტობას „ნაცების“ რეზიდენტობა ამჯობინა!

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის სიტყვით გამოსვლამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საზეიმო დღესასწაულზე ზურაბიშვილმა ხელისუფლება, რომელიც "საკუთარი მოქალაქეების პატივზე და ღირსებაზე არ ფიქრობს", კვლავაც გააკრიტიკა, რასაც მოქალაქეთა უკმაყოფილო შეძახილები მოჰყვა.

პრეზიდენტმა, საკუთარი ინტერპრეტირებით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არაერთი საკითხი „მიმოიხილა“, რითაც, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური სპექტრის უკმაყოფილება გამოიწვია.

მაია ნიკოლეიშვილი, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი: არ შეიძლება, საქართველოს ასეთი სამარცხვინო პრეზიდენტი ჰყავდეს. 26 და 27 მაისს მისი სახე მთელმა ერმა დავინახეთ. ეს იყო მეწვრილმანე, გაავებული დედაკაცი. რა კავშირი აქვს მას დიპლომატიასთან?! საქმე ისაა, რომ იგი საქართველოს სამშობლოდ არ აღიქვამს. ის, რაც 26 მაისს მთელმა ერმა ვიხილეთ, იყო გაბოროტებული, ბოღმიანი ადამიანის ნიშნის მოგებით წარმოთქმული სიტყვა. 26 მაისს ხომ დაგვამახსოვრა თავი, არც მეორე დღეს დაგვტოვა „უპატივცემულოდ“ და დიასპორის წარმომადგენლებთან განაცხადა: რუსეთში ნახევარ მილიონამდე ქართველია, ისიც ნახევრად ქართველები და ნახევრად რუსებიო. ასეთ რამეს ნორმალური, დიპლომატი ადამიანი იტყვის? მისთვის დასავლეთში მყოფი ხალხი დიასპორაა, ხოლო რუსეთში მყოფი ქართველები — ნახევრად რუსები და ნახევრად ქართველები არიან! თავად ვინ არის — ნახევრად ფრანგი და ნახევრად ქართველი?! არა, იგი ერთი უგუნური თაგუნაა, რომელმაც თაგვობა იუკადრისა. ანუ, ჩვეულებრივი ღამურაა. როგორ იქცევა — გენი ხომ მაინც აქვს ქართული. ჩაცმულობას თუ დააკვირდით, კელი დეგნანი საქართველოს დროშის ფერებში იყო გამოწყობილი, ზურაბიშვილი კი — ნახევარი დროშის კოსტიუმში. შავი შარვალი დროშის ტარივით ამშვენებდა. გამოიკვეთა მისი უფროსის ვინაობაც — ეს პრეზიდენტად წოდებული, კელიელეს დაპატარავებული ასლია. ბრიტანეთში რატომ არ ჩავიდა შარვლით — იქ ხომ დაიცვა ეტიკეტი, პროტოკოლი?! ასე რომ, მისი გამოსვლით, როგორც რიგითი ქართველი, შეურაცხყოფილი ვარ.

პეტრე მამრაძე, პოლიტიკოსი, მეცნიერი: 26 მაისს სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა არც ამ ღონისძიებას შეეფერებოდა და არც სახელმწიფოს ინტერესებს პასუხობდა. ძირითად პუნქტებს, რაზეც მან ისაუბრა, არ ვიზიარებ. მან აღნიშნა: რუსეთთან ფრენების აღდგენით ხელისუფლება ევროპას გვაშორებს და იზოლაციაში გვაქცევსო. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მაშინ, როცა კაგებეს აგენტ სააკაშვილისა და მისი გენერალი ბიძის წყალობით, რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში დგას, ამ ფონზე ფრენების აღდგენაზე საყვედურები უხერხულია. რა მნიშვნელობა აქვს, ლარიდან შემოვლენ ქართველები თუ მოსკოვიდან პირდაპირ გადმოფრინდებიან?! ანწუხელიძის ოჯახს ბოდიში მოუხადა, რაც იმ მომენტში არაადეკვატური იყო. ჯერ ერთი, ანწუხელიძეც და სხვა დაღუპულებიც სააკაშვილის სისხლიანი პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურის მსხვერპლნი არიან. დიახ, ეს ადამიანები არ დაიღუპებოდნენ, სააკაშვილს — პუტინის სასარგებლო იდიოტს და გოშიას, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა რომ არ განეხორციელებინა. ასე რომ, ზურაბიშვილის გამოსვლა გასცდა ადეკვატურობასაც, საქართველოს ეროვნულ ინტერესებსაც და მის უსაფრთხოებასაც.

ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი: ქალბატონი ზურაბიშვილი, სამწუხაროდ, საკუთარ თანამდებობას ადეკვატურად ვერ აღიქვამს. მას ვერ გაურკვევია — რა შეესაბამება და რა — არა პრეზიდენტის ქცევას. მეორეც, იგი როგორც პოლიტიკოსი, ადეკვატურად ვერ აფასებს იმ რეალობას, რაშიც საქართველო იმყოფება. დღეს ორიენტაციაზე მნიშვნელოვანი არის სუვერენიტეტი. ანუ, ორიენტაცია სუვერენიტეტიდან გამომდინარეობს და არა პირიქით. ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკაში მარადიული მეგობრები არ არსებობენ. ერის ისტორიაში დგება პერიოდი, როცა იდენტობაა გადასარჩენი. ჩვენმა ქვეყანამ ამის ფასი უკვე გადაიხადა, როცა ქრისტიანობა შეინარჩუნა. და დგება მომენტი, როცა ერმა უნდა გადაირჩინოს საკუთარი თავი, როგორც მოსახლეობამ. ახლა სწორედ ეს პერიოდი გვიდგას. ზურაბიშვილი ვერ ასხვავებს, რაში მდგომარეობს ნაციონალური, ეროვნული ინტერესი. მას სხვისი აზრი უფრო აინტერესებს. საქმე სერიოზულ ფსიქოლოგიურ პრობლემასთან გვაქვს.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ დამფუძნებელი: რაც ზურაბიშვილმა 26 მაისს იკადრა, ეს ძალიან სამარცხვინო, უღირსი საქციელი იყო. მას ღირსების და მორალის არქონასთან ერთად, არც ინტელექტი გააჩნია. მართალია ტომარასავით დადეს ამ პოსტზე, მაგრამ პრეზიდენტი ხომ ჰქვია, იმდენი როგორ არ უნდა ესმოდეს, რომ თავისუფლების, დამოუკიდებლობის დღეს, როცა მთელი მსოფლიო უყურებს, ტრიბუნიდან მთავრობასთან კინკლაობა არ დაიწყოს და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები არ გააკეთოს. ვიმეორებ, ეს უღირსი საქციელია, თუმცა ველოდი, არ გამკვირვებია. პრეზიდენტები ასე არ იქცევიან. ასეთი რამ მარგველაშვილსაც არ უკადრებია. მას ინტელექტი მაინც აქვს. წარმოიდგინეთ, ტრიბუნასთან პრეზიდენტის ტყავში გადაცმული ჩერგოლეიშვილი იდგა და ლაპარაკობდა.

მერაბ შათირიშვილი, მწერალი: ზურაბიშვილის გამოსვლა როგორ უნდა შევაფასო. ეს იყო სახელმწიფოებრიობის მიმართ ავადმყოფურად ამბიციური დამოკიდებულების გამოხატულება. მისი ქმედება ღალატის ტოლფასია. 26 მაისს ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები გათვლილი იყო გარე ძალების საამებლად. ასევე, ეს გათვლილი იყო ქვეყნის იმიჯის დაზიანებაზე. ეს ქალბატონი თავისი მენტალიტეტით არაქართველია. არადა, გვედიდგულება მთავარსარდალი ვარო. ესეც მთავარსარდალია და თამარ მეფეც?! 26 მაისს ტრიბუნასთან ბოღმით გაბერილი ქალბატონი იდგა. განა შეიძლება ასეთ დიად, სასიხარულო დღეს პრეზიდენტმა არ გაიღიმოს და კოპებშეკრულმა ღვარძლი ანთხიოს?!

ედიშერ გვენეტაძე, ისტორიის დოქტორი, პროფესორი: 26 მაისს ქალბატონმა პრეზიდენტმა რაც გააკეთა, ეს ანომალიური მოვლენაა. ვფიქრობ, ეს დღე საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც სამარცხვინო ფაქტი. 26 მაისს, როცა მთელი ქვეყანა საქართველოს დამოუკიდებლობას ზეიმობდა, მეტიც, ჩვენი პირტიტველა ბიჭები სამშობლოს საკურთხეველზე, საჭიროების ჟამს საკუთარი სიცოცხლის გაწირვისთვის ფიცს დებდნენ, ამ დროს ზურაბიშვილმა თავისი უსაგნო საუბრით პოლარიზაცია კიდევ უფრო მეტად გააღრმავა. არც ამით დაკმაყოფილდა და მეორე დღეს, 27 მაისს, დიასპორასთან შეხვედრის დროს ბოღმა ანთხია. იცით, ასე რატომ იქცევა? — იმიტომ, რომ ეს დავალება მისმა გაღმელმა და გამოღმელმა პატრონებმა მისცეს. თუმცა მისგან რა უნდა გამიკვირდეს, როცა ამ კონსტიტუციის გარანტმა, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე უნდა ზრუნავდეს, აშშ-იდან, „თავისუფლების ქანდაკების“ ფონზე მდგომმა, 7-8 მარტის აქციონერებს მოუწოდა: სპეცრაზმელები კიდევ მეტად დაწვით და ცოცხლად დამარხეთო. ანწუხელიძის ოჯახისათვის ბოდიშის მოხდა ვირეშმაკობაა, რაც წინასწარ მომზადებული და დადგმული ჰქონდა. მას სურდა, საქართველოს მოსახლეობა ანწუხელიძის ოჯახთან დაეპირისპირებინა. ეს სამარცხვინო ადამიანის სამარცხვინო საქციელია. ბრიუსელში მისი გამოსვლაც ჩვენს ქვეყანას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. ეს ქალბატონი ბოლო დროს „ნაცმოძრაობის“ ლიდერად ჩამოყალიბდა. ნაცებს რაც უნდათ საქართველოსთვის, მშვენივრად ვიცით — ისინი ქვეყნის მტრები არიან. სალომე ზურაბიშვილმა იმდენი გააკეთა, რომ საქართველოს მოღალატე ნაცებს სათავეში მოექცა.

რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი: ზურაბიშვილის გამოსვლა საზოგადოების მსჯელობის საგნად იქცა. გავიხსენოთ სააკაშვილის მიერ მისი მინისტრობიდან გათავისუფლება, რაც საკმაოდ უტაქტო ფორმით მოხდა — მან ეს ამბავი გზაში შეიტყო. როცა დაბრუნდა, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში თქვა: ქაჯები კი არ მიდიან, მოდიანო. ეს აგრესიული გამოსვლა იყო. მეორე დღეს მთელი თბილისი გარეთ გამოვიდა. ისეთივე გაბრაზებული მომეჩვენა ზურაბიშვილი ამჯერადაც. ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მისთვის სულერთი იყო იმ მომენტში პრეზიდენტის პოსტი ეკავა თუ — მინისტრის, ტრიბუნასთან იდგა თუ სადმე სხვაგან. ფაქტია, რომ ორი დღეა, სიბრაზეს ამჟღავნებს. ამჯერად მიშაზე არ არის გაბრაზებული. თუმცა, მისი პრეზიდენტად არჩევის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მას უფლებამოსილება სააკაშვილის სასარგებლოდ არ უნდა გამოეყენებინა და ასეც მოხდა — მიშას ამ დრომდე არ იწყალებს. ამჟამინდელ ხელისუფლებასაც იგივეს ერჩის, რასაც მიშას ერჩოდა — მიაჩნია, რომ მის მიმართ უპატივცემულობას იჩენენ. ემოციის ფონზე ადამიანი ობიექტურობის გრძნობას კარგავს. ემოცია სწორედ ამით არის სახიფათო. ზურაბიშვილს, ამ შემთხვევაში, ემოციამ სძლია და მანაც ისე იმოქმედა. მეორე გავრცელებული ვერსიით კი, მან ეს საქციელი ვიღაცის კარნახით ჩაიდინა, რათა მავანს მისი მწვავე პროტესტი დაენახა.

იგორ კვესელავა, ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: პრეზიდენტის გამოსვლა არ მომეწონა. ეს გაბრაზებული ქალისმიერ წარმოთქმული სიტყვა იყო. იგი თავის გამოსვლებს თანდათან უფრო გაამწვავებს. ბრიუსელში კიდევ

უფრო გამწვავებულ პათოსს ვიხილავთ. რატომ ხდება ეს ყოველივე? — საქმე ისაა, რომ ხელისუფლება და პრეზიდენტი ერთად ვერ ძოვენ. ხომ გახსოვთ, ორი თხა კლდიდან რომ გადავარდა, ახლაც ასეთი ვითარებაა. სამწუხაროდ, ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება დასავლეთის დავალებით მოხდა. ამაში უზარმაზარი ფული დაიხარჯა. დასავლეთმა ივანიშვილს უთხრა: იგი დასავლეთის წარმომადგენელია, დიპლომატია, ენებიც იცისო. დიპლომატია სხვადასხვანაირად იკითხება. ზურაბიშვილი დასავლური ორიენტაციის ადამიანია. ამიტომ, დასავლეთისთვის მის მიერ წარმოთქმული სიტყვა სავსებით მისაღები იყო. მეტიც, ეს გამოსვლა შეკვეთილი იყო.

გოგა ხაინდრავა, კინორეჟისორი: ზურაბიშვილის გამოსვლა შემდეგზე მეტყველებს: მისი დიპლომატიური კარიერა, პრეტენზია სახელმწიფო მოხელეობაზე, აბსოლუტური ფიქციაა. ადამიანს, რომელსაც ელემენტარული არ ესმის — სად რა უნდა ილაპარაკოს, პირადი ბოღმა სად და როგორ გაახმოვანოს, ან ამის უნარი არასდროს ჰქონია, ან დაკარგა. ეს სამარცხვინო გამოსვლა იყო. მე საერთოდ მგონია, რომ საქართველოს პრეზიდენტი სალომე ხაბეიშვილია. რა ვქნა, ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა. კი ბატონო, ყველას აქვს უფლება და შესაძლებლობა, თავი საქვეყნოდ მოიჭრას. თუ ზურაბიშვილს პრეზიდენტის რანგში მოუნდა თავის მოჭრა, მოიჭრა კიდეც და ეგ არის. მას შეეძლო, ამაზე პარლამენტში ესაუბრა, ან პრესკონფერენცია გაემართა და ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ პრეტენზიები ისე გაეხმოვანებინა. დამოუკიდებლობის მოპოვების დღეს ასეთი გამოსვლა მის პიროვნებაზე მეტყველებს, რაზეც საზოგადოებას შთაბეჭდილება უკვე შეექმნა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მეორე დღეს დიასპორასთან შეხვედრისას, ნახევარ მილიონ ქართველს შეურაცხყოფა მიაყენა. აშკარაა, მისი ადგილი აქ კი არა, სულ სხვაგან არის. ეს შეუწყნარებელი განცხადება იყო, რაც უკვე ნაციზმის სფერაა. როცა პრეტენზია გაქვს, რომ ევროპულად აღიზარდე და თავი ევროპის მეგზურად მიგაჩნია, ნაცისტური განცხადებები არ უნდა გააკეთო. რუსეთში მცხოვრები ქართველები ნახევრად რუსები არიანო, აცხადებს ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ ქვეყნის სიმბოლო, მთავარსარდალია. როცა ქვეყნის სიმბოლო ხალხს შეურაცხყოფას აყენებს, ჯობს, მან ერთი ქოლგა აიღოს და სანაპიროს გაუყვეს.

ლევან მამალაძე, „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი: ჩვენს ქვეყანას კონსტიტუციით განსაზღვრული პრეზიდენტი კი არა, პრეზიდენტის სტატუსით დატვირთული პიროვნება გვყავს, რომელიც თავს საქართველოს მოქალაქედ არ აღიქვამს. იგი, როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქე, პრეზიდენტის სტატუსით სარგებლობს. ამიტომ გამოდის და პრეტენზიებს აფიქსირებს: ფრენები უნდა იყოს თუ — არა, უვიზო რეჟიმი უნდა არსებობდეს თუ — არა, პროტოკოლს იწუნებს და ა.შ. ანუ, ჩვენ პრეზიდენტი კი არ გვყავს, არამედ პიროვნება, რომელიც სხვა ქვეყნის დავალებით მოქმედებს. იგი ემიგრანტის ოჯახშია გაზრდილი და გვეგონა, საქართველო განსაკუთრებულად ეყვარებოდა. ავირჩიეთ და რა მივიღეთ? — არა საქართველოს ინტერესების დამცველი, არამედ ამერიკის, ევროპის, რუსეთის შეკვეთების შემსრულებელი პირი. რა სარგებელი მოუტანა ზურაბიშვილმა საქართველოს?! — არაფერი, გარდა იმისა, რომ მან ქვეყნის საზიანოდ პოლარიზაცია, დაპირისპირება გააღრმავა.

ზოთა გლურჯიძე, მხატვარი: პრეზიდენტის გამოსვლის ჩემეული შეფასება, ალბათ, ბევრისგან არ განსხვავდება. 26 მაისს წარმოთქმული სიტყვა აბსოლუტურად უადგილო და კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო. თუ მას „ქართულ ოცნებასთან“ პრობლემები აქვს, ცალკე გაარკვიოს. მისი საქციელი დღესასწაულის ჩაშლის მცდელობა იყო. ბოლო დროს პრეზიდენტი ძალიან არაადეკვატურად იქცევა. პროტოკოლზე საუბარიც მისი ამბიციებიდან გამომდინარეა. არ შეიძლება, პირადი ამბიციები მთელ ქვეყანას თავს მოახვიო. პროტოკოლში დაშვებული შეცდომა დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, ჯობდა, თავი შეეკავებინა.

ბალთერ არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, პოეტი: სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტების არჩევაში არ უმართლებს. ზურაბიშვილი, რომლის ასარჩევადაც მეც, თქვენც და მთელმა საქართველომ მაქსიმალური გავაკეთეთ, ქვეყნის საზიანო საქმიანობას ეწევა. იგი საქართველოში არც გაზრდილა, ცნობიერებით, აზროვნებით, გემოვნებით ევროპელი, ფრანგია. ბიძინა ივანიშვილს მარგველაშვილიც და ზურაბიშვილიც თავს ევროპელებმა მოახვიეს. რაც შეეხება უშუალოდ ზურაბიშვილის მიერ 26 მაისს წარმოთქმულ სიტყვას, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საზეიმო განწყობის ნაცვლად, მან მთელი დრო ხელისუფლების გაკრიტიკებას მოანდომა. ასევე აღნიშნა, რომ ჩვენ საზოგადოებაში შიშის გრძნობა არ უნდა დავთესოთ. ზურაბიშვილის სიტყვით გამოსვლაც იგივე პოლიტიკის დანერგვის მცდელობა იყო — უნდა ვიბრძოლოთ, უკრაინას მივეხმაროთ და რუსეთს ერთად დავამარცხებთო. ანწუხელიძისა და ოთხოზორიას ოჯახებს კი ბოდიში შემდეგი მიზეზით მოუხადა: ჩვენ რუსეთს მკაცრად ვერ ვექცევით, სამაგიეროს ვერ ვუხდით თქვენი შვილების სიკვდილის გამოო. ჯერ როგორ ბედავს ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკს! მერე მეორეც, ოთხოზორიას და ანწუხელიძის სიკვდილი საკაშვილის მცდარი პოლიტიკის, აგრესიული რიტორიკის შედეგია, რამაც ომი გამოიწვია. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი პრეზიდენტებისგან. ზურაბიშვილის ბრიუსელში გაშვება საქართველოსთვის ზიანის მომტანი იქნება. როცა იგი უცხოეთში საქართველოს სახელით ლაპარაკობს, ეს ჩვენთვის დიდი საშიშროებაა. პრეზიდენტმა საქართველოს უცხოეთში დადებითი კუთხით რეკლამა უნდა გაუწიოს და არა უარყოფითი ლაქებით წარმოაჩინოს საკუთარი სამშობლო. ეს დიდი დანაშაულია.

დავით ქართველიშვილი - საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი: მთაწმინდიდან დაბრუნებულს, ძილის წინ, მომინდა ერთი კარგი ქართული ენით შემეჯამებინა გუშინდელი დღესასწაულის სულისკვეთების ჩაშხამების ნახევრად გამოსული მცდელობა. მადამ "პეზიდან", საზეიმო აღლუმზე თქვენი "პრეზიდენტობა": გათავდა, განისვენა, მზეს მოსწყდა, წუთისოფელი მოჭამა, დღე გაუშავდა, სული ამოსძვრა, მიწამ პირი უყო, თქვენი ჭირი წაიღო, სამუდამოდ მიიძინა, ბოლო მოეღო, გადაეგო, საიქიოს გაემგზავრა, ჩაბარდა პატრონს, ჩაკვდა, ჩაიღრძო, ჩაძაღლდა, ფეხები ფშიკა, წაპარჭიკდა, შაბზე და მარილზე წავიდა, წერილი წაიღო, ტყავი გაჭიმა, ყალიონი მიაყუდა, მწუხარებამ წუთისოფელს მოაშორა...

თამაზ ცერცვაძე, ჟურნალისტი: უვიცი, უტიფარი, გონებაშეზღუდული („თუთხმეტი“„სადაც არ უნდა გათხარო“) არსება, რომელიც არც მალავს, რომ უცხო ქვეყნებისა და საქართველოში მათი „მეხუთე კოლონის“ ინტერესებს ემსახურება. მისი წინაპარი მენშევიკების შემდეგ, ასეთი სამარცხვინო არსება არასოდეს ყოფილა საქართველოს ხელისუფლებაში!

ქეთი ზონია: დილეტანტურად ვკითხულობ: პრეზიდენტის უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვა თუ არის შესაძლებელი? ან მარტო სადმე ეგ როგორ უნდა გაუშვა? ისე ვიკითხე, ასეთი დღის ჩამშხამებლის სახელის ხსენებაც მზარავს! ეს რა გამოსვლა იყო?! გამიგია ადრე, ნიჭიერი დიპლომატი არისო. სიმწრით ვხარხარებ ამაზე!

ყოვლად მიუღებელი, უსამშობლო, ქვეყნის არაკეთილნოსურნე, ქართველი ერის საზიანოდ მოქმედი „პეზიდანი!"

ზაურ ნაჭყებია, ჟურნალისტი: უკვე იმის გარკვევის დრო არ არის, საიდან და ვინ "ჩაგვიდო" ქალბატონი ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტად.

ვიდრე თავისი უტიფარი და მზაკვრული განცხადებებით თავზე დაგვამხობს ქვეყანას, მთელმა საქართველომ უნდა მოითხოვოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი.

ასევე, საზოგადოების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, სალომე ზურაბიშვილი გამოცხადდეს ქვეყნის მოღალატედ!

ვეთანხმები ბატონ ზაზა პაპუაშვილს: პრეზიდენტის ინსტიტუტი, როგორც ზედმეტი რგოლი და უხეირო ინსტიტუცია, უნდა გაუქმდეს და ამოღებულ იქნას საქართველოს კონსტიტუციიდან.

სოფიკო გუდაძე: ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის ვიდექი რუსთაველის გამზირზე აღლუმის დროს. ჩემი საყვარელი ოჯახით, ამაყი და საზეიმო განწყობით! ჩემ გარშემო უამრავი ბავშვი იმყოფებოდა, მათი ჟრიამული კი აღლუმის ცერემონიის ხმას ახშობდა. უფროსები ინტერნეტით, პირდაპირი ეთერის საშუალებით ცდილობდნენ მოსმენას. უეცრად ჩემ გარშემო ლანძღვა-გინების ხმა გაისმა. მე, ჩემს შვილებთან გართულს, ეს ყურში ცუდად მომხვდა და თავი ავწიე. ჩემ გარშემო ქალი, კაცი „ქვეყნის მოღალატეს" წყევლიდა... თვალი სცენისაკენ გავაპარე, სადაც საქართველის დროშის ფერებში გამოწყობილი სამოსით ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი საუბრობდა! სირცხვილია, სირცხვილი... რატომ არ იწყება იმპიჩმენტის პროცედურა?!

ამირან სალუქვაძე, თადარიგის გენერალი, ანალიტიკოსი: სრულიად არაადკვატურია ზურაბიშვილი, რაებს ბოდავს საზეიმო დღეს?!

აფხაზებს მადლობას უხდის მიწის და საქართველოს საკუთრების დაცვის გამო და ამის შემდეგ გადადის ხელისუფლების კრიტიკაზე, ქვეყნის დაცვა მისი ვალიაო.

იმხელა ღვარძლს ანთხევს! ჯარის წინაშე დგას და რაებს ბოდავს... ომისკენ მოგვიწოდებს? რაებს ბოდავს ეს გარეწარი? წარმოუდგენელია... ამის გაშვება ქვეყნის გარეთ არ შეიძლება. კიდევ კარგი, ფუნქციები შეკვეცილი აქვს. არაადეკვატურია. გაგებაში არაა, სად რა ილაპარაკოს. ნეტა, თუ აცნობიერებს, რომ ყველა ზღვარი გადალახა, ყველა ნორმა დაარღვია?!

ნუთუ ვერ იაზრებს, რომ:

- ზეიმია, დღესასწაულია...

- დამოუკიდებლობის დღეა, შესაბამისად, ყველას დღესასწაულია და მისი ბოღმა და ოპოზიციური განწყობა თუ გარე დაკვეთები, თავისთვის უნდა შეინახოს?

- ჯარის, ანუ აპოლიტიკური, ასევე შეიარაღებული ორგანიზაციის წინაშე გამოდიოდა და მსგავსი გზავნილები შეიძლება, მისი მხრიდან კანონდარღვევის ზღვარზეც გადიოდეს, ამორალურობას და უღირსობას რომ თავი დავანებოთ.

ნეტა, თუ იაზრებს, რომ გულში ყველა მოწვეული სტუმარი დასცინოდა და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა აგინებს? თუ ვერ იაზრებს, გადახედოს სოციალურ ქსელს. არც კი შერცხვა, ისე დაუჯდა პრემიერს გვერდით. მკაფიო მაგალითია, როგორ შეიძლება კეთილი ჩანაფიქრი, ბოროტებად შემოტრიალდეს.

ნეტა, ბრიუსელში რას ილაპარაკებს?

სოზანი ჯულაყიძე: პრეზიდენტმა დღეს ქვეყანას ღიად, ანუ სახალხოდ უღალატა, ფადი ასლის სიტყვები გაიმეორა. აფხაზები შეაქო, თავის მიწას იცავენო, ანუ თქვა, რომ ეს მიწა აფხაზებისაა.

ალბათ, ბრიუსელშიც ფადი ასლის სიტყვებს გაიმეორებს?! მე თუ მკითხავთ, გასაძევებელია ზურაბიშვილი ქვეყნიდან, რადგან ქართულ საქმეს არ აკეთებს და ისიც უნდა მიაყოლო, ვინც მას ეს ტექსტი დაუწერა. თვითონ რისი დამწერია!

ნინო გელაშვილი: გუშინდელი დღე - საზეიმო, ეროვნული და ჟრუანტელის მომგვრელი. თუმცა, ამ დღეს, რომელსაც ნამდვილად ჩვენი, საქართველოს დღე ერქვა, ვიხილეთ უტაქტობის, უტიფრობის, უმადურობის და ღალატის დიდი გამოვლინება, თან ვისგან? - მთავარსარდლისგან! ბარემ გეგინებინათ მთავრობა, ჯარი, ხელისუფლების მომხრე ხალხი! კახური სისხლი კი გაქვთ, თუ საერთოდ გაგაჩნიათ ეროვნული სისხლი ძარღვებში, უკვე უმრავლესობას ეჭვი გვეპარება ამაში და ვფიქრობთ - "ო, რა ტყვილა გაჭმევთ პურსა"! დიახ, არ იმსახურებთ თქვენ საქართველოს და მისი უმრავლესი მოქალაქის პატივისცემას, ქალბატონო სალომე! ის დროა, აიკრიფოთ გუდა-ნაბადი და მიბრძანდეთ იქ, საიდანაც ჩამოხვედით! ერთ სიმართლესაც გეტყვით კიდევ - გუშინ თქვენ ევროპულობისა არაფერი გეცხოთ, ტიპიური რუსული "ბაზარნაია ბაბა" იყავით!

მოამზადეს
თამარ შველიძემ და
ნონა ქარქაშაძემ

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

გადავწყვიტე, საქართველოში ჩამოქცეული განათლების სისტემაზე საუბრის დროს დროდადრო პედაგოგების მოსაზრებებიც ჩამერთო, მაგრამ ისეთ გასაოცარ რეალობას გადავაწყდი, გაოგნებულიღა დავრჩი.

გარეთ 2023 წელია, მოქმედ პედაგოგებს კი, რაგინდ სურვილი ჰქონდეთ, რომ ხმამაღლა იყვირონ: რას სჩადით, რატომ ღუპავთ ჩვენს მომავალს — სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდა თაობებსო, სიმართლის სააშკარაოზე გამოტანის შიში აქვთ და პირში წყალჩაგუბებული არიან. რისი ეშინიათ? სამსახურის დაკარგვის. რატომ დაკარგავენ სამსახურს? იმიტომ, რომ „გაუნათლებლობის სამინისტროში“ ენას ვინმე მიიტანს, კონკრეტული პედაგოგი აუგად მოიხსენიებს არსებულ განათლების სისტემას, არსებულ სახელმძღვანელოებს, არსებულ მიდგომებსო და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, განსხვავებული აზრი აქვს იმ ეროვნულ უბედურებაზე, რასაც გაუნათლებლობა ჰქვია, რეალურად კი ეროვნული გამოთაყვანებაა.

დავინტერესდი, ეს განათლების ახალი მინისტრის დაფარული მითითება ხომ არ არის-მეთქი. მინისტრამდე უამრავი რგოლია, ის, ალბათ, ვერც იგებს, რა ხდება მის სამინისტროში — ეს კიდევ ცალკე უბედურებაა... ამიხსნეს, რომ განათლების სამინისტროში, ისევე, როგორც ყველა სახელმწიფო უწყებასა თუ ორგანოში, დღეს იგივე კადრები წყვეტენ ყველაფერს, რომლებმაც 2012 წლამდე მიიღეს გადაწყვეტილები და დააკანონეს კიდეც. ამდენად, საკუთარ თავს ხომ არ „გაიფუჭებენ“ და მას „აფუჭებენ“, ვინც ხმას ამოიღებსო. თუმცა, ქვეყნის საბედნიეროდ, მაინც არიან მოწოდებით პედაგოგები, რომელთაც მართლა აწუხებთ განათლების სფეროში არსებული რეალობა და გაჩუმება, სიმართლის ხმამაღლა თქმას ამჯობინებენ („ენაგრძელი“ მასწავლებლის მიზერული სახელფასო დანამატის გაუქმება რაღა სახსენებელია ამ ეროვნულ უბედურებასთან...).

თამუნა სტურუა: „უპირველესად, დაწყებითი კლასების შესახებ მინდა ვთქვა. აბსოლუტურად გაუმართლებელია დაწყებით კლასებში უცხო ენის სწავლება. ინგლისურ ენას და, ზოგადად, ყველა ენას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ბავშვმა ჯერ მშობლიური ენა უნდა ისწავლოს. ეს ვინმეს აკვიატება კი არ არის, ბავშვისთვისვეა საზიანო. მას ჯერ მშობლიურ ენაზე არ აქვს მეტყველება განვითარებული და ახალ ენაზე რომ აწყებინებ ლაპარაკს, ეს ყოვლად დაუშვებელია.

ცარიზმის დროს ქართული ენა რომ იდევნებოდა, დაახლოებით იმგვარი მდგომარეობაა დღესაც — არ იდევნება, მაგრამ უპირატესი ინგლისური ენის ცოდნა გახადეს. მყავს მოსწავლეები, რომლებიც გადასარევად წერენ, კითხულობენ და საუბრობენ ინგლისურად, ტექსტსაც გაგირჩევენ, მაგრამ ქართულად მეტყველება უჭირთ. ზოგიერთ კერძო ბაღში ინგლისურად მეტყველებას საბავშვო ბაღიდან ასწავლიან პატარებს, ინგლისურენოვან მულტიპლიკაციურ ფილმებს უყურებენ, ზღაპრებს ინგლისურად უსმენენ და ხშირ შემთხვევაში, ინგლისური ენის უკეთ დაუფლების მიზნით, მშობლებიც ინგლისურად ესაუბრებიან. შესაბამისად, ბავშვის სამეტყველო აპარატი ინგლისურად იხედნება. ფაქტობრივად, პატარა ბავშვებმა ინგლისური იციან ბევრად უკეთ, ვიდრე მშობლიური ენა. ასეთი ბავშვი, მთელი ზრდის პროცესში და საბოლოოდაც, კი, გაიგებს და გადასცემს სხვას ქართული სიტყვებით, მაგრამ მას არ ეცოდინება სალიტერატურო ენა. გარდა ამისა, მწირი ლექსიკა მეტყველების დროს უხერხულობას შეუქმნის. ასე ბორძიკ-ბორძიკით და ბოლო მარცვალზე გადატანილი მახვილით საუბარს რა ენაზე მეტყველება ერქმევა, არ ვიცი — ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ძალიან მალე ცუდად დაგვიხვდება წინ. ჩემს მოსწავლეებს გამუდმებით ჩავჩინებ, რომ უპირველესი პატივი მშობლიურ ენას უნდა სცენ, რადგან საკუთარი ენა თუ სრულყოფილად არ გესმის, შენივე სრულყოფილებას აკლდება.

ისწავლება ასეთი საგანი „ჩემი საქართველო“. ვითომ ისტორიაა, მაგრამ ისტორიის გარდა ყველაფერი წერია. კომუნისტებს ვაგინებთ, მაგრამ პატარაობიდან გვესმოდა: ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის სახელები. ამ წიგნში რაც წერია, არ ვიცი, ამას რა ჰქვია...

ფიზიკა ისეთი საგანია, კლასშივე რომ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა ბავშვს. იცით, როგორ იწყება ფიზიკის სწავლება? — კითხვებით. მაგალითად, რა მოუვა ორ საპირისპიროდ დამუხტულ ნაწილაკს, თუ ერთმანეთს შევახებთ. ეს, მე ვიცი რა მოუვა, მაგრამ ბავშვს უნდა აჩვენო რაც მოუვა და აუხსნა, რატომ მოუვიდა ასე. ვიდრე განათლების სისტების ე.წ. რეფორმა ჩატარდებოდა, ყველა სკოლაში იყო ლაბორატორია, სადაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ცდებს ატარებდა. ბავშვს საერთოდ რომ არ წაეკითხა წიგნი, მან ის გაკვეთილი პრაქტიკულად იცოდა, რადგან, ნანახი უკვე ჩაებეჭდებოდა გონებაში. ბავშვები არ უსმენენ მასწავლებელს, რადგან იგი მათთვის გაუგებარ ენაზე საუბრობს. ფიზიკასა და მათემატიკაში ისეთი საშინელი ტექსტებია, წარმოუდგენელია, ბავშვმა დამოუკიდებლად გაიგოს.

მათემატიკის სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ისეთ რაღაცებზე, რაც მათემატიკა არ არის, ფაქტობრივად, სტატისტიკის სახელმძღვანელოა. საინტერესო მეცნიერებაა სტატისტიკა, მაგრამ მათემატიკა არ არის! ბავშვებმა ისიც კი არ იციან, რა არის ალგებრული წილადი...

სწავლა უჭირთ ბავშვებს, რადგან ყველა საგანს გაკვრით გადიან... „ვეფხისყტაოსანი“ რიხინ-რიხინით (სხვა სიტყვა არ მიესადაგება) გაიარეს.... ელემენტარული, აფორიზმი რა არის, ბავშვმა არ იცის... ბავშვებს აღარ უნდათ სწავლა, რადგან პროგრამა არანაირ ინტერესს არ უჩენს მათ.

ყველაფრის დაზეპირება შეუძლებელია. ასე რომ, სწავლა რომ არ უნდათ ბავშვებს, ვერ ვამტყუნებ

მაგალითად, მე-10 კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში საუბარია სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობაზე, დემოგრაფიაზე; რომ დედამიწის მოსახლეობამ 9 მლრდ-ს გადააჭარბა; როგორ გამოითვლება ფორმულებით კვადრატულ კილომეტრზე რამდენი მოსახლეა და ა.შ. კი ბატონო, ვთქვათ, სტატისტიკა გეოგრაფიის ნაწილია, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ მთელი წელი ამას დაუთმო? ეს ხომ გეოგრაფიის შესწავლა არ არის... მოდი, ასე ვთქვათ, დღეს მოდაშია სტატისტიკა და ყველა საგანში რაღაცნაირად ჩადებულია სტატისტიკური მიმართულება. მათემატიკის სახელმძღვანელოში მათემატიკა არ წერია, ფიზიკაში — ფიზიკა, გეოგრაფიაში — გეოგრაფია და ასეა ყველა საგანში. გეოგრაფიაში სულაც გენდერულ თანასწორობაზე წერია, დემოგრაფიაზეა მიბმული — ადამიანის უფლებები რომ უნდა დაიცვან, იმ კონტექსტში უკვე ჩაუგდეს...

ბუნების წიგნში ყველაფერი ერთად წერია და თავებად არის გაერთიანებული. მაგალითად, ერთ თავში შეიძლება ისწავლებოდეს, რისგან შედგება მცენარე, გადაფურცლავ და ფიზიკის შესავალი ნაწილი იწყება, ვთქვათ, რა არის ძალა და ა.შ. არ ვიცი, ვერ გეტყვით, რა გამართლება აქვს ასეთ სწავლებას...

„სამოქალაქო განათლება“ რა საგანია, ვერ გეტყვით — ეს არის საშინელება! ძირითადად, ადამიანის უფლებებზეა საუბარი, მხოლოდ გაკვრით, სადღაც, წვრილი შრიფტით წერია ორი სიტყვა ადამიანის მოვალეობაზე.

მეოთხეკლასელები გადიან საგანს „მე და საზოგადოება“. იქ არის საუბარი ბავშვთა უფლებებზე, მაგრამ მოვალეობებზე თითქმის არაფერი წერია. აქედან გამომდინარე, ბავშვები დიდ გულზე არიან, მასწავლებელი შენიშვნას ვერ მისცემ, მყისიერად დაგემუქრება: „გიჩივლებ; დავრეკავ სადაც საჭიროა...“ ტოლერანტობაზეა საუბარი... ამ საგანს ისე ითხოვენ ამ საგნის მასწავლებლები, თითქოს ძირითადი საგანი იყოს...

ქიმიას თეორიულად სწავლობენ. ლაბორატორიები აღარ არის, ქიმიის სახელმძღვანელოც საკმაოდ გართულებულად არის შედგენილი და დაწერილი. იგივე შემიძლია ვთქვა ყველა საგნის სახელმძღვანელოზე — თითქოს განგებ არის შედგენილი ისე, რომ მოსწავლემ ვერ გაიგოს, როდესაც ვერ გაიგებს, აღარც დაინტერესდეს და სამუდამოდ აიცრუოს გული წიგნის კითხვაზე...

მათემატიკაში ისეთი რთული რაღაცები წერია, რაც, არც სკოლაში მისწავლია და არც უმაღლეს სასწავლებელში, მეც ბავშვებთან ერთად ვისწავლე. რისთვის სჭირდებათ სკოლაში „ალბათობის თეორია“ არ ვიცი და არც არავინ გვიხსნის ჩვენ მაინც. „ხვდომილობა“ რანაირად უნდა გაიგოს ბავშვმა სკოლაში, ან რატომ უნდა გაიგოს? ის, რაც მათემატიკაა, მეორე პლანზეა გადასული. მხოლოდ მათემატიკაზე რომ იყოს საუბარი, ესეც საგანგაშოა, მაგრამ ყველა საგანი ასეა, სახელი ჰქვია საგნის და ამ საგნის გარდა ყველაფერი პირველ პლანზეა წამოწეული, თვითონ საგანი კი ჩაკარგულია ამ არაფრისმომცემ სიტყვებში.

ერთმანეთში რომ ვსაუბრობთ პედაგოგები, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ის ვითომ „განათლების რეფორმა“ მხოლოდ იმიტომ გატარდა, რომ დაეჩლუნგებინათ ბავშვების გონება და მათთვის შეეძულებინათ სწავლა. ბავშვი რომ ვერ იგებს რაზე ესაუბრები, ის საგანი და ზოგადად სწავლა სძულდება. ასეთი ვითარების გამო, მშობელი იძულებულია შვილს რეპეტიტორი აუყვანიოს და კერძოდ მოამზადოს იმ საგნებში მაინც, რომელიც ეროვნული გამოცდებისთვის სჭირდება.

მასწავლებელთა ე.წ. ტრენინგები ხომ მბრუნავ ბორბალში გამოკეტილი ციყვის ამბავია, ნერვების მოშლა და უქმად დაკარგული დროა, სხვა — არაფერი... ჩემი მეგობარი საბავშვო ბაღში მუსიკის მასწავლებელია და გადარეული იყო — მოსთხოვეს, რომ ინდურ ჰანგზე დაეწერა ტექსტი და ბავშვებისთვის ესწავლებინა. ინდურ მელოდიაზე ქართულად მღერა! რას და ვის იგდებენ მასხრად, ბავშვებს, ქართველებს, ინდურს თუ ქართულს?

სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ — ბავშვის გაფუჭება იწყება საბავშვო ბაღიდან და გრძელდება სკოლაში. ვიღაც უხილავებს ბავშვები გამოჰყავთ თავისთვის, ახალი მოქალაქე ახალი მსოფლიოსთვის. მათებურად გაზრდილ ბავშვს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი აბსოლუტურად დაჩლუნგებული ექნება, რადგან აზროვნების კარს უკეტავენ, რომ დაუკაკუნებს ვიღაც და მიუთითებს როგორ უნდა მოიქცეს, სად, როდის და რა უნდა თქვას, ისე მოიქცევა გაზრდილი „რობოტი“, რადგან დატრენინგებულია ბავშვობიდანვე რომ ასე უნდა მოიქცეს, ზედმეტი კითხვები არც გაუჩნდება, არათუ რაიმე წიაღსვლა გააკეთოს.

„თავისუფალ უნივერსიტეტთან“ არსებულ სკოლაში სწავლობს, პატარა გოგონაა და მომახალა: მეზიზღება ქველაფერი ქართული: ზღაპრებიც, ლექსებიც, ცეკვებიც და ლაპარაკიცო. გავშრი.

შეკითხვა: საით მივდივართ? უკვე უმართებულო ჩანს, რადგან პასუხი სახეზე გვაქვს — სადაც უნდოდად, იქით მივყავართ გამიზნულად, გამკითხველი არავინ არის, ყველა თავის სკამს უფრთხილდება.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება სჭირდება ჩვენს განათლების სისტემას, რადგან განათლება მართლა კვდება!

აბა, გადათვალეთ, რამდენი თაობა მოწყდა განათლებას, რამდენი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი „განათლების რეფორმიდან“... არ შეიძლება, განათლების მინისტრი იყოს გნებავთ სანტექნიკოსი, გნებავთ იურისტი, გინეკოლოგი და ა.შ. მაგრამ რატომღაც ასეთი ტენდენცია წამოვიდა, რა დარგის სპეციალისტი რომელი სფეროს ხელმძღვანელია, მნიშვნელობას არავის ანიჭებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შედეგი არ გაინტერესებს, უბრალოდ, თვალისასახვევად აკეთებ რაღაც სვლებს. გახდებიან ხელმძღვანელი პირები და მერე იწყებენ იმ მიმართულებით სწავლას. ისწავლის ეს პირი იმ სფეროში და ამ დროს გადადგება (გადააყენებენ) თანამდებობიდან და მოდის ამ სფეროს მორიგი უცოდინარი.

სანამ ნამდვილად განათლების რეფორმა არ გატარდება, ქართველი ახალგაზრდების განათლების დონეს არაფერი ეშველება, უფრო და უფრო მძიმე სურათს მივიღებთ.

დიდი ბრიტანეთი გადავიდა ე.წ. საბჭოთა განათლების სისტემაზე, რომელიც, რეალურად, განათლების გერმანული სისტემა იყო, მაგრამ ამას ვინ იტყოდა, შორსმიმავალი გეგმები ჰქონდათ. პირიქით, საძულველ „საბჭოთას“ საბურველში გაახვიეს და უმტკივნეულოდ მოისროლეს სანაგვეზე...“

იქვე მე-10 კლასის ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს II ნაწილი იდო. ავიღე, გადავშალე, სახე მივაბრუნე, ალბედზე დავადე თითი გადაშლილ წიგნში ტექსტს და რაც დამხვდა, უცვლელად გთავაზობთ წერტილ-მძიმეთი:

ამონარიდი გიგი თევზაძის სტატიიდან

„ვეხსისტყაოსანი სრულიად გამორჩეული ტექსტი უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეებში და ალბათ ისეთივე ზეგავლენა უნდა მოეხდინა მკითხველზე, როგორიც „ჰარი პოტერმა“ მოახდინა, ოღონდ, პირიქით: თუკი როულინგმა ყველას დაანახვა, რომ ჩვენს რუტინულ სამყაროს დამატებული ფანტაზია საოცარ შედეგს იძლევა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა ყველას აჩვენა, რომ რუტინულ სასწაულებს მოშორებული ცხოვრებაც ისევე საინტერესოა და რომ ყველა შეიძლება გახდეს აღწერილი ამბების წევრი“.

ამის წამკითხველმა, რაღა ვთქვა?

ან მე რა უნდა ვთქვა ამაზე მეტი, ძაღლის ყბა მაქვს გამობმული!

ვის გასაგონადაც ვირჯებით, მან თუ არ გაიგონა, დავქცეულვართ სრულიად ქვეყანა!

ნინო დაუშვილი

გია ლომაძე: „ახალი ბაბილონი“

28 მაისს ცნობილ მწერალს, პუბლიცისტსა და ჟურნალისტს გია ლომაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. მისი მოთხრობები („მატარებელი“, „წვიმა“, „მოლოდინი“) ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1977 წელს, რასაც მომდევნო წლებში „კაცი გალავანზე“ და „თაბაშირის კაცი“ მოჰყვა, რომელმაც მკითხველის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

1987 წელს ჟურნალ „განთიადში“ დაიბეჭდა გია ლომაძის მოთხრობა „კროსვორდი“. „გაშიშვლებულ ტოტალურ სახელმწიფოში არც თუ ისე ძნელია საბჭოთა სახელმწიფოს ამოცნობა. იმ პერიოდის მწერლებს შორის მხოლოდ გია ლომაძის „კროსვორდს“ აქვს მძაფრი პოლიტიკური კონტექსტი... მოთხრობის თემატიკა და პათოსი დროის შესაფერისია“... — წერს ადა ნემსაძე ალმანახ „კრიტიკაში“ (#9, 2014 წ.)

გია ლომაძის მოთხრობები დიდი პოპულარობით სარგებლობდა უცხოეთშიც. 1991 წელს „ლიტერატურულ საქართველოში გამოქვეყნებული ციკლისთვის „დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები“ მას თავისუფალი საქართველოს პირველი ლიტერატურული პრემია მიენიჭა; 1995-2002 წლებში მწერალმა გამოსცა პუბლიცისტური წიგნები: „პრეზიდენტობის უფლება“, როგორ შეიქმნა ასლანდია“, „ენითხუროები“.

1991-2003 წლებში გია ლომაძე პროფესიულ მწერლობას ჩამოშორდა. იგი სხვადასხვა წლებში იყო გაზეთების: „ბანკი“, „საქართველოს პარლამენტი“, „სახალხო გაზეთი“ მთავარი რედაქტორი; 2003 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული „ახალი ბაბილონი“.

გია ლომაძის უკანასკნელი ნაწარმოები, დეტექტიური რომანი „სალამი საქართველოდან“ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის პირობებში დაიწერა. რომანის მთავარი თემა სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ ნარკოგადაზიდვების მფარველობა და ამერიკელი სპეცაგენტის მკვლელობაა. რომანის რომანტიკული ხაზად გასდევს ახალგაზრდა ქართველი ქალ-ვაჟის სიყვარულის ამბავი...

2009 წელს „ზემოდან“ გაცემული ბრძანების თანახმად, რომანი აიკრძალა, მისი გამოცემა შეჩერდა და დღის სინათლე მხოლოდ 2013 წელს იხილა.

გია ლომაძე 2012 წლის შემოდგომაზე 59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

„საერთო გაზეთის“ რედაქციას სურვილი აქვს, გია ლომაძის რომანის „სალამი საქართველოდან“ გაგრძელებებით დაბეჭდოს. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ნაწარმოებს, რომელიც ჩვენი და ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულზე მოგვითხრობს.

გაზეთის წინამდებარე ნომერში კი გთავაზობთ გია ლომაძის ორ მოთხრობას მისი კრებულიდან „ახალი ბაბილონი“.



ფარი და მახვილი

კალაშნიკოვის სისტემის ავტომატების ტკაცატკუცს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების გრაგნი აზავებდა, რასაც შიგადაშიგ შაშხანის მჭახე ხმა კვეთდა, ხოლო ყოველი ხუთწუთიანი ინტერვალით სამოცდათხუთმეტმილიმეტრიანი ქვემეხი ყეფდა. ორივე მხარე ისროდა. ესროდნენ ყველაფერს — უძრავსა და მოძრავს, სულიერსა და უსულოს...

თავდამსხმელნი დემოკრატიას ამკვიდრებდნენ, თავდამცველნი — დემოკრატიას იცავდნენ, ანუ, მარტივად და გასაგებად: ერთნი ძალაუფლების მოპოვებას ცდილობდნენ, მეორენი — შენარჩუნებას... და, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ორივე მხარე ხალხის, დემოსის კეთილდღეობის სახელით მოქმედებდა. დემოკრატია — დემოკრატია: ფარი და მახვილი ერთად!

მთავრობის სახლისწინა მოედანზე კი, ერთმანეთისგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, იმავე ხალხის ორი წარმომადგენელი იწვა მტვრიან ასფალტზე — ოციოდე წლის ბიჭები. ერთს სამხედრო ფორმა ეცვა, რომელიც სრულად ჰქონდა, ხელები ტანზე მიეკრა, ქუსლები ერთად, როგორც ბრძანების „სწორდი!“ შესრულებისას, თვალები ღიად დარჩენოდა, გაყინული, გაკრიალებული მზერით გასცქეროდა დიდ ქალაქზე დამხობილ ცას.

მეორე მოკლული გვერდზე გადახრილიყო, ორივე ფეხი მოეხარა, რაც უდავოდ მიანიშნებდა, რომ ტყვია მუცელში მოხვედროდა. თვალები დახუჭვოდა, მარჯვენა ხელში შავი, ნაქსოვი თალფაქი ჩაებღუჯა, ჯინსები და დამამბული, ნაცრისფერი ქურთუკი ეცვა, ფეხზე კი კონტრასტული, ტყავის ყვითელლანჩებიანი, შინდისფრად მბზინავი ფეხსაცმელები „ინსპექტორები“.

პირველმა ბოლომდე დაიცვა თავისი წილი დემოკრატია, მეორემ კი თავისი წილის დამკვიდრება ვეღარ მოასწრო და იწვნენ ერთმანეთისგან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ტყვიებისა და ყუმბარების დელგმაში.

ორმხრივი სროლა უეცრად შეწყდა, უცნაური სიჩუმე ჩამოწვა. მოედანზე ხანშიშესული წყვილი გამოჩნდა: ქალი და კაცი. უჩვეულოდ მოძრაობდნენ, თითქოს არც ეხებოდნენ ქვაფენილს. კაცს გრძელი, შავი პალტო ეცვა, რომლის მაღალი საყელო თეთრი შარფით შეეკრა; ქალს თეთრი ფერის, კაპიუშონიანი, დათბილული ლაბადა ეცვა, ყელი მუქი შარფით შეეფუთა, ოქროსფერი, ხშირი თმა მხრებს უფარავდა და გადახდილი კაპიუშონი აევსო.

წყვილი მოედნის შუამდე მივიდა. მოკლულ ჯარისკაცთან დაიხარა ორივე. ქალმა შუბლზე ხელი ჩამოუსვა ზემოდან ქვემოთ, შუბლიდან ნიკაპამდე — თვალები დაუხუჭა. კაცმა იქვე დაგდებული ეროვნული დროშის ნახევი აიღო და გვამს სახეზე დააფარა. მეორე მოკლული გულაღმა ამოაბრუნეს. ქალმა მიმოიხედა, შემდეგ ყელიდან შარფი მოიხსნა და მიცვალებულს თავი სათუთად შეუხვია. მერე წამოდგნენ, წელში გაიმართნენ და მთავრობის სახლისკენ შებრუნდნენ. ჩუმად, უტყვად უყურებდნენ ავი იდუმალებით მომზირალ შუშებჩამსხვრეულ ფანჯრებს. შემდეგ თავდამსხმელებისკენ შებრუნდნენ, სახეების ნაცვლად თითქოს ფითრი ნიღბები და თვალების ჭრილში უძირო, უსასრულო სევდა და წუხილი...

მთავრობის სახლის წინა მოედნის კუთხეში კი შავი, მსუყე კვამლით იწვოდა „მბპ“ — ფეხოსანთა საბრძოლო მანქანა...

სადღეგრძელო

— ყოველი კაცის, — სუფრას თვალი მოავლო თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობის“ მორევში ჩაყვინთულმა და ქვეყნის პარლამენტში დეპუტატად თავამოყოფილმა, ამავე პარლამენტის დიდი ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა და მთავარმა იდეოლოგმა ბესარიონ ზულელმა. — ყოველი ადამიანის ბედი მის ხელშია. აი, ეს არის დემოკრატიის მთავარი და ჭეშმარიტი არსი. ინდივიდის, პიროვნების ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი ნიჭით, ანუ გონებრივი შესაძლებლობებით განისაზღვრება. ნიჭის და გონებრივი შესაძლებლობების რეალიზება კი უნარ-ჩვევებით ხდება. რა არის ეს ყველაფერი ერთად, ერთობლიობაში? ნიჭი, ბატონებო, ალღოა, ალღო! ნიჭიერია ის, ვინც ალღოს უღებს მიმდინარე მოვლენებსა და შექმნილ ვითარებას, გარემოებას. ნიჭიერი, ანუ ალღოიანი ადამიანი დემოკრატიული წყობისას ნებისმიერ ვითარებას, ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას თავის სასარგებლოდ მოაქცევს, გამოიყენებს და შესაბამის შედეგსაც მიიღებს. ალღოიანი კაცი ხედავს იმას, რაც სასარგებლოა, მომგებიანია მისთვის და რახან იგი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, ანუ სახელმწიფოს უჯრედია, შესაბამისად, მისთვის სასარგებლო და მომგებიანი საზოგადოებისათვის, ქვეყნისთვისაც მომგებიანი, სასარგებლოა!

ალღოიანი ადამიანი წარმატებულ ინდივიდზე მეტია. იგი თავისი ბუნებით, არსით, დანიშნულებით ზეადამიანია, ვინაიდან მისთვის მიუღებელი, უცხო, შეუთავსებადია საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა იდეოლოგიების, რელიგიური კონფესიების და მოძღვართა მიერ მოგონილი, შექმნილი მთელი რიგი ცნებები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ბორკილები, ხუნდები ალღოიანი ადამიანის სულსა და სხეულზე. ამ ცნებებიდან გამომდინარე, სინდისის, ნამუსის, სირცხვილის, სინანულის გრძნობები ნეგატიურად მოქმედებს ინდივიდზე, პიროვნებაზე, იწვევს სტრესებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლას, უხასიათობას, უსაფუძვლო შიშებს, მორალურ და ფიზიკურ დათრგუნვას, რაც საბოლოოდ, აუცილებლად, სამყაროში ყველაზე ძვირფასისა და ღირებულის — ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლებას იწვევს.

ადამიანის წმიდათაწმიდა, ხელშეუხები უფლება კეთილდღეობაა; კეთილდღეობის მიღწევა — მისი მთავარი და ძირითადი მიზანია. ესაა მთავარი ღერძი, მთავარი მამოძრავებელი ძალა. სიცოცხლის ხანგრძლივობა კი ადამიანის კეთილდღეობის მთავარი კომპონენტია, შეიძლება ითქვას, საბოლოო კომპონენტი... ამიტომაც ნამდვილი, თანამედროვე, ჭეშმარიტად დემოკრატი ადამიანისგან შორს უნდა იყოს საუკუნეების განმავლობაში მის თავს მოხვეული ზემოთ ჩამოთვლილი ფსევდოფასეულობები, ვინაიდან ყველაზე მთავარი და ერთადერთი ჭეშმარიტი ფასეულობა თვით ადამიანია და, შესაბამისად, რაც საფრთხეს უქმნის მის კეთილდღეობას, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას — ირაციონალურია, მიუღებელია ალღოიანი, ანუ ნიჭიერი საზოგადოებისათვის.

რაშია ჩვენი ფრაქციის, მთლიანად ჩვენი პარტიის სიძლიერე? — დრამატული პაუზით მოავლო მზერა ბესარიონ ზულელმა სუფრასთან სულგანაბვით მსხდომ თანამეინახეებს. — ჩვენი პარტიის სიძლიერე იმაშია, რომ ჩვენ უარვყავით ეს ყალბი, გამოუსადეგარი, უსარგებლო, არაფერი კარგის მომტანი ფასეულობანი და ჩვენი მთვარი მოვალეობაა, ჩვენი კარდინალური რეფორმის მთავარი არსი ისაა, რომ ჩვენთან ერთად სრულიად საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიშოროს ეს ბორკილები, ეს ხუნდები და იცხოვროს ყოველგვარი პირობითობის გარეშე — საღად, ლაღად და თავისუფლად, ისე, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის საზოგადოება იმსახურებს!

ვიცი, ვიცი, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც საპატივცემულო ოპონენტები აქ რომ ბრძანდებოდნენ, მეტყოდნენ, რომ ადამიანები შიმშილობენ, ადამიანებს სამუშაო არა აქვთ, ადამიანებს უჭირთ და სხვა მრავალი. მაგრამ მინდა ვკითხო პატივცემულ ოპონენტებს: ვინ არიან ეს ადამიანები? და აქვე გავცემ პასუხს: ეს ადამიანები სწორედ ის ხალხია, ვინც იმ ფსევდოფასეულობებით, ყალბი, მირაჟისმაგვარი ფასეულობებით ხელმძღვანელობენ და ცხოვრობენ; და რახან ასეა, ამიტომაც შიათ, სწყურიათ, უჭირთ. მინდა ვუთხრა მათ, რომ ესენი ის ადამიანები არიან, ვინც ალღო ვერ გამოიჩინა, ალღო ვერ აუღო ჭეშმარიტად დემოკრატიულ წყობას. საამისო უნარ-ჩვევები არ აღმოაჩნდათ და ჩვენი ხელისუფლების წმიდათაწმიდა მოვალეობაა, ეს უნარ-ჩვევები ჩავუნერგოთ მათ.

დემოკრატიული წყობა იღბლიან ადამიანთა წყობაა, ბატონებო! ამიტომაც მე ვსვამ ალღოიანი ადამიანების სადღეგრძელოს. ჩვენს ალღოიან პრეზიდენტს გაუმარჯოს! ჩვენს ალღოიან საპარლამენტო უმრავლესობას გაუმარჯოს!

ბესარიონ ზულელმა შამპანურით სავსე ორთომელი პირთან მიიტანა. სუფრაზე ტაშმა იფეთქა, ჟრიამულით, აღტაცებით წამოიშალნენ სასმისებით ხელში.

გარეთ კი, დიდი რესტორნის შესასვლელთან, ლამის გენერალისიმუსის მუნდირში გამოწყობილი ზორბა კაცისგან ოდნავ მოშორებით, პატარა გოგო-ბიჭი იდგა, რვა-ცხრა წლისანი. გოგონას ორივე ხელით იაფფასიანი თაიგული მიეკრა გულზე, ბიჭს კი პატარა ხატები ეჭირა. იდგნენ და შეშინებულები შესცქეროდნენ მრისხანე მეომრის იერიან კარისკაცს...

ბავშვური ალღოთი გრძნობდნენ, რომ რესტორანში არ შეუშვებდნენ.

დარმაედი ერვანდა

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

— ზურაჯან, ამდგარხარ? მე კიდე ჩუმათ მოვიპარებოდი, რო ჯერ ის გიჟი არ გამოვარდნილიყო და მერე კიდენა შენ არ გამეღვიძებინე. ნუ, აკოშკა რო ღია იყო, უჟე მივხვდი, რო კაი დროს მოვსულვარ. ტო, ეს რანაირი ამინდებია, ხაჩუ-ნეხაჩუ კურტკა მიკეთია. ვა, მე რა ვიცი, როდის რა მოეხოშება ამ ამინდს. სლუში, ამბობენ, გლაბალნი გათბობაო და გლაბალნი გაყინულობა იწყება. აგე, ის დინოვზავრები იმიტომაც ისჩეზლი, — სულმოუთქმელად მიაყარა ერვანდამ, გულისჯიბიდან „ახტამარი“ ამოაძვრინა და საეჭვო შიგთავსის მქონე შავი პარკი მაგიდაზე ნაზად დადო.

— ეგ რა არის? — პატარა ბავშვივით ავცმუკდი ამხელა კაცი.

— უგადაი, არ გითხრამ!

— მინიშნება მითხარი!

— მკვდარია! აბა, ესა ნახე, თუ რო მოგეწონება, კიდე მაქ, — ერვანდამ ვაგზალზე ნაყიდი ახალი კონტრაბანდული სომხური სიგარეტის კოლოფი მომაწოდა.

— გასაგებია, შემწვარი თევზია, — სასწრაფოდ მოვუკიდე სიგარეტს.

— ჰა, როგორია? — ისეთი კამკამა თვალებით შემომაცქერდა ერვანდა, ვერ ვუთხარი, რომ ძალიან ცუდი სიგარეტი იყო, რბილი და მყრალი, მოვატყუე, კარგია-მეთქი.

— ზურაჯან, ქალები კლიმაქსს საიდან იწყებენ? — მკითხა მოულოდნელად და თან მანიშნა, გარეთ გავიტანო ტაბლა თუ აქ იყოსო.

— მარჯვნიდან! მე რა ვიცი!.. შენ რაღაში გაინტერესებს? — სერიოზულად გამიკვირდა შეკითხვა.

— ტო, იმ დღეს ალექსეევკაში რო წახველ, მაგარი წვიმა რო დასცხო, თავში მომაფრინდა და აშიკასთან წაველ მთაწმინდაზედ, ჰამბავ-ხაბარს მითხრამსო და ტო, სლუჩაინად ნანულას გიჟების სხადნიაკზე მოვხვდი პარლამენტთან. ტო, მაგნები ახლოდამ გინახნიან? მამანჯააან, მე ვიყო ჰინდის ხურმა, თუ არ ჩაგაფიქრონ. ნაშ ნაროდ დეგრადირუეტსა! ჩვენი ნანულა ცოდოა იმათანა. ნუ, ესაც კაი ფრუქტია, ჰამა შიფერივითა და გველოს იძახის, მაგრამ ისინები? ზურაჯან, რაღაცნაირები არიან. გეობნევი, კუდიანების შაბაშზე მეგონა თავი. აშიკამ ვაბშემაც სურათი გამიკეთა, აქა მაქ, გაჩვენებ — მაგ დღესა, აელაპორტში ყოფილა მორიგე და გადაუღია, ერთ დამასა ამერიკის დროშის ქოლგა უჭირამს და უკრაინის დროშა აცვია, მეორეს ევროკავშირისა უჭირამს და მაგრათა ღელამენ, პირველი რეისი რათ შესრულდაო. ჰასაკს რო შევხედე, მივხთი, სვადებნიში იქ არიან ნამყოფები და პა მოემუ, ფინთი მოგონებები აქთ რასიაზედ, იმ თავის ქმრებმა ან მაგრად ფინთად აჯახეს პირველი ღამე, ან რამე ეგეთი, ბა, რა უნდათ? ზურაჯან, ამ ჩემ მობილურს ეს ფინთი პრივიჩკა რათა აქ, ვაჭერ აქა, ის მინდა და ვდრუგ სხვა რამე კეთდება.

— „ისინები“ კი არა, გერხევათ სომხებს, — დავაინტრიგე უცბად.

— მითამ, რათაო? — მომაჩეჩა თავისი მობილური.

— რათა და იმათა, რომ **Pernod Ricard**-მა გადაწყვიტა, რომ კონიაკი „არარატი“ რუსეთში აღარ შეიტანოს, — ვთქვი მაქსიმალურად დემონსტრატიულად და ერვანდას მობილურში სურათებში შევედი..

— მერე მე რა, ამ ჩემ ფეხებს, — არაფრად ჩამიგდო ინფორმაცია ერვანდამ და აწეული ტაბლა აივანზე გააცუქცუკა..

— მერე ის, რომ ერევნის კონიაკის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის 80%-ზე მეტია და კონიაკის წარმოების 5-ჯერ შემცირებას გამოიწვევს. შეასაბამისად, თანამშომლების შემცირებას და თუ არ გასხვისდება, ბოლოს, დიდი ალბათობით, ქარხნის ლიკვიდაციას გამოიწვევს. „არარატი“ რუსეთში კონიაკის ბაზრის მოთხოვნილებას 5%-ით უზრუნველყოფს, ამიტომ არც არაფერში დაეტყობა, როცა 120 მლნ ლიტრი სჭირდება, სომხეთისთვის კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგარი დარტყმა იქნება, — გავყევი უკან ერვანდას და თვალებში მივაშტერდი.

— მანაღვლეეე... მე „არარატს“ არა ვსომ, ერთხელ იმსიგრძე ამბავი გამიკეთა, მთელი ღამე ვაყას-ვაყას ვამბობდი, კლიანუს, იმის მერე თითი არ დამიდვია. მთავარია, „ახტამარს“ ფინთათ არ მოკიდონ ხელი! — ერვანდა კვლავ ურეაქციოდ იყო.

— ბიჯო, მარტო კონიაკი და „არარატი“ კი არა, ვისკები, ტეკილა, რომი არაყი — იცი რა ბრენდებზეა საუბარი: **Chivas Regal, Jameson, Ballantine's, Olmeca, Havana Club**. შავი დღე დაგიდგებათ სომხებს, ფა-ფუ იქნება თქვენი „სომხური ლეგენდისა“. ბიჯო, გამოისყიდეთ სომხებმა, თორემ, დაგენძრათ!

— ზურაჯან, მეტი საქმე არა გაქ?

— ბიჯო, შენ სომეხი ხარ თუ აზერბაიჯანელი, რა დარმაედი ვინმე ხარ? — ვუკბინე ნაციონალურ გრძნობაზე.

— კანეჩნა, ქომეხი, მაგრამ მე ქართველი ქომეხი ვარ, როდინა აქა მაქ. ჰალკოვნიკი ბიძაჩემები რო რასიაში გავიდნენ ახალციხიდამ, ტოჟემ ვერ გავეკიდებოდი თუ რა, მაგრამ არა, მე სადაც რო დავიბადე, იქაც უნდა დავიმარხო. ტემ ბოლეე, რო ახალი სვოდკა მომივიდა!

— ლენინაკანიდან თუ ულან-უდედან, ჩამოყაჭე! — გავუღიმე და ვანიშნე, ნანულა გვითვალთვალებსო.

— მაიცა, ერთი ცალი მაინც მოვასწროთ, თორე დაგვაგვიანდება, ურაგანი მოვა, თანაც მაგარი ჰაზრიც მაქ, — გამიღიმა ერვანდამაც და ისე მომიჭახუნა სირჩა, ჩემი კინაღამ ხელიდან გამაგდებინა.

— ჰა, თქვი, — ვიტუცე თევზის კუდი პირში.

— გველებს უყურე, ჯერ არ გათენებულა და დაიწყეს ლოთობა, თქვენ ამოწყდით! — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით მოგვაწყევლა ნანულიმ.

— ვაჰ, ეს ხო ნაღდი ტიგროვი გველია, არ მოგკლამს, მაგრამ პარალიზს გაგიკეთებს, — აღშფოთდა ერვანდა.

— პარალიზი კი არა — პარალიჩი, — შევუსწორე და წამოენთო:

— შენ ეგრე რათ იცი? გავარიუ, პარალიზი, ზნაჩიტ, პარალიზი. მე გველების უჩიტელი ვიყავი, როცა რომ აზიაში ვეთრეოდი!.. მაიცა, სხვა რამე უნდა უთხრა, კარქა მისმინე, ისტარიჩესკი ჰამბავია. სანამ სლედსტვიას დაიწყებ, სრაზუ გითხრამ, ველისციხიდამ გავიგე. ტო, ეს ვირიშვილი ტელევიზორი გამორთე, რამხელას იცინიან ეს შუშურიკები, ხელს მიშლიან ჰაზრებში! ტო, რანაირად იციან, თითონ ერთმანეთში ბაზრობენ და ვითონვე იცინიან, მე რა გავიგო? — ჩაურთო შუა ქაქანში.

— იყოს, იქნებ, რა ხდება.... რას გიშლის, ჩაუწიე ცოტა...

— ვკრაცე, თურმე, ეგეთი ამბავია, როცა რო გინდა პარიადოჩნი გამოჩნდე გლავარი, მაგრად ყურადღებას აქცემ დიპლამატიჩესკი ეტიკეტსა, ნუ, ეგრე ყოფილა მაშინა, მინამ რო ხალხი უფრო დასტოინი იყო...

— დო ნაშეი ერი? — გამეცინა და სირჩები შევავსე.

— ნე, სკაზალი, მე-16-17 საუკეების მიჯმაზე, — დამიზუსტა ერვანდამ და უეცრად მოვარდნილი სიცილისგან ხელში აღებული სირჩა სახეში შევისხი. „მიჯმაზეო,“ — მოსასულიერებელი გავხდი, ველარ ამოვისუნთქე.

— ახპერჯან, ენა გამოყავი, მაიტა, დაგიჭირო! — ფერი დაეკარგა ერვანდას და მისი შემხედვარე სიცილს ვეღარ ვიკავებდი, ვეღარ ვჩერდებოდი, თან — ენა გამოყავიო. სად მქონდა ენის გამოყოფის შესაძლებლობა. როგორც იქნა, გადამიარა სიცილის გრიგალმა და ხმა ამოვიღე:

— ბიჯო, მიჯნაზე, მიჯნაზე! — ისევ სიცილი ამიტყდა.

— ბა მე რა ვთქვი? — გაიოცა ერვანდამ და უმწიკვლო თვალებით შემომხედა.

— კაი, ჰო, დამანებე თავი! და რაო, მერე იმ მიჯნაზე? — ისევ სიცილი ამიტყდა.

— ვის მიჯმაზე? — ახლა ერვანდა დაინტერესდა და ისევ სიცილი ამიტყდა.

— ბიჯოოო, გაჩერდი რა, ცოტახანს, ხომ ხედავ ვერ ვჩერდები, — ლამის შევევედრე.

— ხარაშო, რა პრობლემებს აკეთებ ყველაფერისაგან, — ტუჩები დაბრიცა ერვანდამ და განგრძო: აკაზივაეტსა, ელჩებს დაჟე კლამდნენ, თუ რომ ნეპრილიჩნათ მოიქცეოდა. კაკრაზ, რუსეთიდამ კახეთში გამოგზავნილი პასოლი მაგრა ფინთათ მოქცეულა და მაგრად სტროგადაც უნდა მოეკლა მეფესა, სუ წამ-წამებით. კახელები მაგრა მაგრათა დამდგარან, ეგ არ გააკეთო, მეფეჯან, ჩვენთვინ ეგ გრეხი იქნება, ნუ აგვკიდებ გრეხსაო — დიდი ჯაფა და ამბავი დამართიათ და ნუ, მეფემაც გაუგო გაგების ჰამბავში. მა როგორა, მეფეა, უნა გაიგოს ხალხისა, მურმანყრუ ხო არაა.

— მურვან! — ბრაზდება, სიტყვებს რომ შევუსწორებ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ვერ ვითმენ.

— მურმან, გავარიუ, ზნაჩიტ, მურმან! ზურაჯან, „აბესალომ და ეთერიში“ ვინ არი, მურვანი? — მომიყვანა არგუმენტი.

— ჩემგან ორი სახლის ზემოთ რომ ცხოვრობს, მურვანიძეა თუ მურმანიძე? — მეც მაგარი არგუმენტი დავუდე.

— კაკრაზ, აი, ეგ არის პაკაზატელნი პრიმერი, როცა რო ადამიანს ენა კარქა ვერ აბია და ებნევა, — ზურგზე არ დაეცა ერვანდა და მეც ხელი ჩავიქნიე. ვიცი, დაიხსომებს და მეორედ სწორად იტყვის.

— ჰოდა, მერე, ჩვენ რა, რომ ასე გითხრეს ველისციხიდან? — ვერ მივუხვდი, რა უნდოდა.

— ზურაჯან, ეგ ისტარიჩესკი ფაქტი ყოფილა და მაიტა, ამ ჩვენ გლავარებს უთხრათ, რო ნანულას კრისას უთხრან, იქნებ, ცოტა შოშმანი ქნას, რა ტვინი წაიღო მაგ გნიდა ქალმა? მერე რა, რო ბაიდენი პოლუტრუპი დაიარება და საიქიოში ებაზრება მასტებს, ცოცხალებიც ხო არიან ვინმეები, უთხრან, კელიჯან, ძაანაც ნუ მიჰქარამ, ხვატიტო. ვაბშეტა, იმ ამერიკაში ჯაზზე არიან? ბაიდენმა უთხრა, ჩვენ უკრაინას F-16 მასტის ავაგამანადგურებლებლებს მივცემთ, ზელენსკიმ დაიფიცა, რუსეთის ტერიტორიაზე არ გამოვიყენებთო, მაგრამა იქაც შეუძლიანთო — ეს ინჩა? შეუძლიან, მაგრამ არ გამოიყენებსო, მა სად ბებიმისის დირკაში გამოიყენებს, ჩვენ გვესვრის? აბა, კაკ ონ გავარიტ, ორი მტერი ყამს, პუტინი და „ქართული ოცნება“. თუ არ გამოიყენებს, რათ უნდა, მწნილად უნდა ჩადოს ბოჩკაში? იმ „არარატის“ ჰამბავი ვინ და რათ გაკეთა, ეგაც იცი? — გამარკვია, როგორც იქნა საქმის, არსში ერვანდამ, მაგრამ მაინც დაეინანა „არარატი“.

— სანქციების პონტში, — მოვუჭერი მოკლედ.

— ხოდა, ძალიანაც კარგი! ქომეხი რო შენ კანიაკს ფრანგს ჩაუდებ ხელში, სუ ჰალალი იყოს! ეს მენშევიკის დოჩკა ხო ვაბშე გამოკრუხდა, ბოიკოტს უცხადებ რადნოი სამალიოტსო, — მერე რა ჩემი ფეხებით იფრენს, სურეიას ცოცხზე გადაჯდება და ჰაიდა? ჰო, რა, ბოიკოტი უთხრა „ჰაერზენას“ და იმათაც სრაზუ სვარშიკები მიიყვანეს, ნაწილებად ჭრიან უჟე სამალიოტს და სამგორში, სპუსკზე ჯართათ აბარებენ... ვაჰ, რა ცირკაჩები არიან კრუგომ!

— ცირკაჩობა ყვარლის ტბაზე რომ იყო, ისეთი უნდა.

— და, რა იყო რო, მე გაგებაში არა ვარ, — აღშფოთდა ერვანდა.

— ჩემი ვერსია გითხრა, თუ ჩვენი დათოსი?

— დათო ოვა?

— კალანდია. შენ რომ ამბობ, ეგეთი სიმპატიჩნი ვიყო, კინოზვეზდა ვიქნებოდიო.

— იი, შენ აქა მყამხარ, ჯერ იმისი მითხარ!

— დათომ თქვა: ლავროვის შვილის ქმრის ძმა, ისრაელის მოქალაქე, რეპერი

და ანტიპუტინისტი, ყვარელში ქორწილს აპირებდა და დედა უტირეს! ვერ აპატიეს, რომ მისმა ძმამ ლავროვის გოგო მოიყვანა ცოლად.

— კი, მაგრამ, — ყვიროდა ლავროვის შვილის ქმრის ძმა, როცა ლяკას ხისთავიან „დროელებს“ ის პირდაპირ საქორწილო სარეცელიდან დასახვრეტად გაჰყავდათ, — მე ხომ არ მოვიყვანე ლავროვის შვილი? ეს ჩემმა ძმამ მოიყვანა.

— ძმა ძმისთვის — შავი დღისთვის! — მკაცრად პასუხობდა ზნეობის ცნობილი დამცველი ლяკა გოგოევნა, — ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მათზე, ვინც მოვათვინიერეთ.

ცეცხლი!

ნიკანორ მელია კი მთელი ღამე ყვარლის ტყეში კუდამოძუებული დარბოდა, იქნებ, სიძეს პირველი გადავეყარო და მმაჩის ბიუროსკენ მიმავალი გრძელი გზა ვანახო, მე კი მოკლე გზით გავიქცე და დავასწროო, მაგრამ ლავროვის შვილის ქრის ძმის მაგივრად ლяკა ხოშტარიას გადაეყარა და ლяკა ხოშტარიამ ნიკა მელია გადასანსლა.

მეორე დღეს მონადირეებმა დაიჭირეს ლяკა ხოშტარია, გაუჭრეს მუცელი და იქიდან გამოვიდა: ცოცხალმკვდარი ნიკა მელია, ორი ანა წითლიძე, ფადის ასლი და ორმოცი ყაჩაღი.

ლავროვის შვილის ქმრის დახვრეტილი ძმა გადააბრძანეს ისტორიულ სამშობლოში. ის იქ აღსდგა, ტანი ჩამოიბანა და ლяკა ჩამოირეცხა, მერე კი თუფაქ შაქურის ფერწერულ პორტრეტზე დაიფიცა, რომ ცოლს აღარასდროს მოიყვანდაო.

— ჰამბავი გავიგე, მაგრამ დავითამ ეგეთი რა მოწია, გალის პლანი? — გაღიმებულმა ხელი აიქნია, ელვისებურად გადაჰკრა და რაღაც მანიშნა. მეთქი, რა იყო?

— პალზიოტ! — მითხრა ლამის ჩურჩულით და მივხვდი, ნანული გვეპარებოდა.

— რა იყო, ნანული, რა ჩუმად მოდიხარ? — გამიკვირდა მისი სამგლოვიარო სვლა.

— ეს თქვენ, ჩაცეცხლეთ და მე კიდე დამისხით, უნდა ჩავცეცხლო! ერთი ბოთლი მოიტანე, შე კრიჟანო? — მიუტრიალდა ერვანდას და თვითონვე გახსნა მოტანილი ძღვენი.

— რათა ერთი, ორი ფეხი მაქ, — გაიოცა ერვანდამ.

— მოგაწყევლიდი, ორივე მოგტყდესმეთქი, მაგრამ მეცოდები, მართლა არ აგიხდეს. რას მიყურებ, წადი, ჭიქა მომიტანე, სირჩა არ დამანახო! — დაუტატანა ერვანდას და ისიც ჯინივით აორთქლდა.

— რა ხდება, ნანული?

— ისიც მოეთრეს, — ისეთი ხმით მითხრა ნანულიმ, ვერაფრით მივხვდი, ასეთი რა უნდა ეთქვა.

— ნანულაჯან, ცავატანემ, ეს კუბდარი ჩვენთვის რათ მოგიტანია, შიგ შხამი ჩაგვიწვეთე?

— ამ გველების უფლისწულს შეხედე, რას ჰგავს, — მომიტრიალდა ნანული მე. — შხამი კი არა, ღორის ხორცისაა და მე ვერ ვჭამ.

— ვა, ყიური ხარ? მე ვამბობდი — არა! — შეიცხადა ერვანდამ. ნანული არ აჰყვა, 50-გრამიან თლილ ჭიქაში თვითონვე ჩაისხა კონიაკი, ჩვენც შეგვივსო მოკრძალებული სირჩები და უხმოდ გადაჰკრა. მივხვდით, რომ რაღაც საშინელება ტრიალებდა მის გულში.

— რა მოგივიდა, ნანულაჯან, თქვი, რაღა, ნერვი გამიწყდა, რა უნდა უთხრა? — ერვანდა კი არა, მეც მოუთმენლად ველოდი ნანულის პასუხს.

— ფაშინიანის დედა რომ მო...ნ! — მოკლედ გვესროლა ნანულამ.

— რა გინდა ჩემგან, ტოო! ზურაჯან, ეს სწერვა ეხლა აქედან წაიღე, თორე უბიუ! — წამოხტა ერვანდა.

— ბიჭო, რას ხტუნაობ, ფაშინიანს ვაგინებ, შენ ხომ არა. ეს ვერაა?! — ხელზე დაქაჩა ნანულიმ ერვანდას და, შეძლებისდაგვარად, გაუღიმა. ერვანდას თვალები გაუფართოვდა და სასწრაფოდ დანებდა, დაჯდა.

— თქვი, გოგო, დროზე! — ახლა მე დავეტაკე.

— აბა, რაღაა სათქმელი, ფაშინიანმა ბეჭედი დაურტყა ალიევს, მთიანი ყარაბახი თქვენიაო, — წყნარად თქვა უიმედობაში ჩავარდნილმა ნანულიმ.

— იჰა�ა, მეცა არა ვთქვი, რა მოხდა? მერე შენ რა? — გამოცოცხლა ერვანდა.

— ბიჭო, ვერ გაიგე, რა ვთქვი?!

— სულ ცალ ფეხზედაც არა მკიდიან ეგ თქვენი ნაგორნი კარაბახი? — ჩამოასხა უდარდელად ერვანდამ და გააბოლა.

— ვაიმე, ზურა, ასეთი დარმაედი გინახავს? სომხეთში გიჟებს ჰგვანან და ამ უსაქმურს კი ფეხებზე ჰკიდია! — ნანული მიხვდა, რომ სომხურ რელსებზე ძალიან გადავიდა და ისე უნდოდა გამოეყვანა, ვითომ ფაქტით იყო აღშფოთებული.

— ტო, ნანულაჯან, დარმაედი ვარ, დიახაც! იმიტო, რო, ვა პერვიხ, ეგ ისედაც მაგათი იყო. მე, ხო იცი, ფინთათ არაფერს დავდებ ხელსა, ჩემია, ზნაჩიტ ჩემია, არ ალი ჩემი და, ზნაჩიტ — არალი, სულ ეგაა, — ერვანდამ არხეინად წამოავლო ხელი კუბდარის ნაჭერს და რატომღაც ჯერ შიგ ჩაიხედა.

— რას იხედები კუბდარში, ფაშინიანს ეძებ? — თვალი ჩამიკრა ნანულიმ.

— არა, ალიევს... ნაღდ კუბდარში პლანი უნდა იყოს და კოწახური, თუ ეგენები არალი, ზნაჩიტ, კიტაისკი კუბდარია, — განგვიმარტა ერვანდამ.

— ვაიმე, პლანიო, ეს რა ტუტუცია! ბიჭო, ვერ გაიგე, რა ქნა ფაშინიანმა? — არ ეშვებოდა ნანული.

— მე გავიგე, მაგრამ შენ რატო ვერ გაგიგიან, რა გითხარი? მაგათი იყო და მაგათიც იყვეს, მე რა ვქნა, ვა! ვ სერედინე XVIII-ნაჩალე XIX ვეკოვ, ტამ სუშესტვოვალო კარაბახსკოე ხანსტვო; ს 1805 გოდა — ვ სასტავე რასიისკოი იმპერიი; ვ სავეტსკოე ვრემია — ვ სასტავე აზერბაიჯანსკოი სსრ. ვ ნასტაიაშეე ვრემია, დე-იურე ვ ხოდიტ ვ სასტავ აზერბაიჯანსკოი რესპუბლიკი. ჩასტ ტერიტორიი, ს ნაჩალა 90-ხ გადოვ დე-ფაქტო კონტროლირუეტსა ნეპრიზნანოი ნაგორნო-კარაბახსკოი რესპუბლიკოი, რა ტვინი წაიღე, ტო? შენ ისე ბაზრობ და ღელამ, როგორც რო ნაღდი გნიდა ქომეხი. სპრავედლივი უნდა იყვე ადამიანი! — მართლა აღელდა ერვანდა, თორემ რუსულად არ ჩამოურაკრაკებდა.

აი, ამიტომაც მიყვარს ერვანდა, სამართლიანია, მიუკერძოებელი და ალალი...

ნანული დამუნჯდა, ვეღარც მიაწყევლა, ვეღარც მიალანძღა. ნანულიმ ჩემზე უკეთ იცის, რა კაცია ჩვენი ერვანდა.

— ვა ვტარიხ, სომეხი ისე რამეს მოგცემს? ზნაჩიტ, რაღაცა სახეიროს იღებს... მა იფიქრებს, რო გველთან იმალები, — გამხიარულდა ერვანდა.

— ტუტუცო კაცო, ის არის პიროვნება, გივი თარგამაძე!

— პირ-ოვნება როგო არი, როცა რო, ვა პერვიხ, პირს ვერ აღებს, მერე კიდენა, როცა რო პრირაჟდიონი უ-პირ-ოვნებაა?.. მე შენთვინა, შენა კიდე... ბალნაია ჟენშჩინა, ლიჟბა ომი და სისხლი გაიგო, სრაზუ გაინტერესებს. ტოოო, ვხუმრობ, აზერბაიჯანში არც თქვენი სექტაა და არც კელი დიღომსკი, ნარმალნი ხალხია, გავარიატ, საღოლ, ალიევ, საღოლ, ფაშინიან, რო უომრად მოაგვარეთ ჰამბავი! ვოტ!.. შენ იცი, რო ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გასუდარსტვენი პერევაროტი არ გაკეთდება? და იცი, რათა? იმიტო, რო იქ ამერიკის საელჩო არალი! — საჩვენებელი თითის აწევით მოახსენა ერვანდამ.

— რახან შენ იტყვი!

— მე რათა, მორალესმა უთხრა, ბოლივიის პრეზიდენტმა.

— მეხი დაგეცეთ ორივეს!

— იმას უჟე დეეცა, ჩემი ოჩერედია, ნო, დო ეტოგო, აფხაზია და მაჩაბლეთი უნდა მივიკრათ. ზურაჯან, ეხლა არ ამაკივლო ბოზი კურდღელივითა! იქ მაჩაბლებისა იყო და მაჩაბლეთი ჰქვიან იმასა და არა სამაჩაბლო, — გამაფრთხილა წამიერად და ჩაიბურტყუნა: ისე, რა სმეშნოი გვარია მაჩა-ბელი.

— ეგრე იყოს, — გამეცინა, მაჩა-ბელი ვითომ ვერ გავიგე.

— ნანულაჯან, ცავატანემ, ფლაგებს არა კერამთ? 26-ში თქვენი კარმანჩიკი მენშევიკის დოჩკა რეჩს თქვამს იგეთს, სულ გაგიხარდებათ, — ააციმციმა თვალები ერვანდამ.

— ვინაა კარმანჩიკი, გველთამზევ?

— თქვენი პარიჟანკას პაპაჩკა. ჰო, რა იყო, აიგარამას დედუშკა ასწავლიდა კარმანჩიკობას. საწყალი სურენა პაპა, მელკი კარმანჩიკად დარჩა, მაგის უჩენიკმა კიდე, ვაბშემც საქართველოს ჯიბიდან ამოიღო ნაგლად მაყუთი და გაიქცა ფრანციაში... გოთვერან! დაჟე ფაშისტებს შეეკრა, როგორც რომ დიდი ჩათლახი... აფსუს!

— ჰო, ეგ მართალია, ვერაა ეგ ქალი! ისეთი როგორ უნდა გახდე, რომ ვერც ოპოზიცია გიტანდეს, ვერც ხელისუფლება და ვერც ხალხი? პირველი ადამიანია, ვისაც ყველა ერთად აგინებს, — ძალიან მშვიდად თქვა ნანულიმ.

— აი, ცავატანემ, რააა, ძლივს პესოკი არ გაუშვა პირიდან? საქართველოს გაუმარჯოს, სხვები ერთად დაგროვდნენ ნანულას თუთის ქვეშ! — გვტყორცნა სადღეგრძელო ერვანდამ. მე და ნანული სასწრაფოდ დავეთანხმეთ.

საქართველოს გაუმარჯოს!

ზურა ოშხერელი



თურქეთში ერდოღანის მმართველობა გრძელდება

ერდოღანი: მებრძოდით, ყველა ხერხს მიმართავდით, რომ თქვენს ხელის ბიჭს გაემარჯვა და ახლა მილოცავთ? შეეგუეთ იმ რეალობას, რასაც ირჩევს თურქი ხალხი! თურქეთი გააგრძელებს სვლას დამოუკიდებლობისა და მშვიდობისაკენ, თურქეთში და ჩვენს რეგიონში იქნება მშვიდობა და ეკონომიკური წინსვლა! შეეგუეთ ამ რეალობას!

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კვირას თურქეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს. ვინ უხელმძღვანელებს ქვეყანას მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დღემდე აქტიურად განიხილებოდა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპაში. არჩევნების შედეგით განსაკუთრებით თურქეთის მეზობელი ქვეყნები არიან დაინტერესებული, რადგან სწორედ ის განსაზღვრავს, როგორი იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკა — სამშვიდობო თუ კონფრონტაციული.

ორი კვირის წინათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად ჩატარდა თურქეთში. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მოქმედმა პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა თავის კონკურენტს, ქემალ კირიჩდაროღლუს 5%-ით გაუსწრო, მაგრამ, საერთო ჯამში, 50%-იანი ბარიერი ვერ გადალახა. ამიტომაც გახდა საჭირო პირველად თურქეთის ისტორიაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვა.

მხარდამჭერი ორივე კანდიდატს ბევრი ჰყავს. ერდოღანის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ თურქეთის ეკონომიკურ გაძლიერებაზე, განხორციელებულ პროექტებზე. ერდოღანს მიზნად აქვს დასახული, ქვეყანა ბუნებრივი აირის ჰაბად აქციოს. „თურქეთის ნაკადის“ მეშვეობით რუსული ბუნებრივი გაზი ევროპის ქვეყნებსაც მიეწოდება. „ჩრდილოეთი ნაკადის“ აფეთქების შემდეგ „თურქეთის ნაკადზე“ დატვირთვა გაიზრდება და თურქეთი, როგორც ტრანზიტორი ქვეყანა, უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ თურქეთში პირველი ატომური ელექტროსადგური, რომელსაც რუსეთი აშენებს, ექსპლუატაციაში მომავალ წელს შევა. ექსპერტების შეფასებით, ელსადგური თურქეთში მოხმარებული ენერგიის 10%-ის გამომუშავებას შეძლებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მის ენერგოდამოუკიდებლობას.

ოპონენტები ერდოღანს საყვედურობენ ქვეყანაში არსებული ინფლაციის გამო, რომელიც შარშან შემოდგომაზე დაიწყო. მას, ასევე, აკრიტიკებენ თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგებზე დაგვიანებული რეაგირების გამოც. თუმცა, ერდოღანმა დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება და დანგრეული ქალაქების მოკლე დროში აღდგენა აღუთქვა. ოპონენტები ერდოღანს რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობისა და პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან მჭიდრო ურთიერთობისთვისაც აკრიტიკებენ. თუმცა ავიწყდებათ, რომ რვა წლის წინათ პუტინმა გადაარჩინა თურქი კოლეგა სამხედრო გადატრიალების მცდელობისას. სწორედ პუტჩის შემდეგ დაუახლოვდა ერდოღანი რუსეთს, საიდანაც შეიძინა სამხედრო შეიარაღება და სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის ექსპორტსაც ახორციელებს. ცალკე საუბრის თემაა ტურიზმი. წლეულს თურქეთში რუსეთიდან 7 მლნ დამსვენებელს ელოდებიან. ამიტომაც უჭერენ მხარს ერდოღანს ტურისტული და სასტუმროს ბიზნესის წარმომადგენლები. სამაგიეროდ, თურქეთისთვის სასიკეთო პოლიტიკის გატარების გამო, მოქმედი პრეზიდენტი დასავლეთის ქვეყნებისთვის მიუღებელი პერსონა გახდა.

ამომრჩევლების გულის მოგებას ქემალ კირიჩდარუღლუ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რადიკალურად შეცვლით ცდილობდა. მან რუსეთი არჩევნებში ჩარევაშიც დაადანაშაულა და არ გამორიცხავდა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გზარდას, რაც ქვეყნის შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევის ტოლფასი აღმოჩნდებოდა. მეორე ტურის წინ, სავარაუდოდ, უცხოელების რჩევით, რიტორიკა შეცვალა. ჟურნალისტის კითხვაზე, როგორი ურთიერთობა გექნებათ რუსეთთან, კირიჩდაროღლუმ მოკლედ უპასუხა: „საუკეთესო!“ იგი ამომრჩეველს ქვეყნიდან მიგრანტების გაძევებას შეჰპირდა, რითიც რადიკალების გულის მოგებას ცდილობდა, მაგრამ ლიბერალები კი გაანაწყენა.

მართალი აღმოჩნდა ერდოღანი, როდესაც კონკურენტს პირველ ტურამდე მკვახე პასუხი გასცა, როდესაც მან რუსეთი დაადანაშაულა მის (ერდოღანის) სასარგებლოდ არჩევნებში ჩარევაში. „...რას იტყვი, თუ გიპასუხებ, ვინც ერევა ჩვენს არჩევნებში. ესენი არიან საფრანგეთი, გერმანია, ბრიტანეთი, აშშ“. მეორე ტურის წინ სწორედ აშშ-ისა და ბრიტანეთის ფინანსისტებმა გაავრცელეს, სავარაუდოდ, ცრუ პროგნოზი: თუ ერდოღანი გაიმარჯვებს, თურქული ლირას კურსი კატასტროფულად დაეცემაო. დასავლელმა ფინანსისტებმა დაიწყეს ფინანსური სპეკულაციური ოპერაციები, რამაც შეარყია ლირას კურსი. თურქეთის ხელისუფლებას გადამჭრელი ზომების მიღება დასჭირდა, რათა ქვეყანაში ფინანსური კოლაფსი არ დაეშვა და ამისთვის თავიანთი სავალუტო-სარეზერვო ფონდიდან 7,5 მლრდ დოლარის დახარჯვამ მოუწიათ. როგორც თურქეთის არჩევნებმა დაგვანახვა, ცალკეულ ქვეყნებში არჩევნებზე გავლენის განხორციელების ახალი, ფინანსური საშუალება ინერგება.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე, ისტორიული ტური თურქეთში მშვიდად ჩატარდა. უსაფრთხოებას ქვეყნის მასშტაბით 600 ათასი პოლიციელი იცავდა. ამომრჩეველთა აქტიურობა როგორც ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ, რეკორდულად მაღალი იყო. უცხოეთში დიდი უპირატესობით ერდოღანმა გაიმარჯვა. რადგან მეორე ტურში მხოლოდ ორი კანდიდატი იყრიდა კენჭს, ხმების დათვლის პროცედურა გამარტივდა. დამკვირვებლების შეფასებით, არჩევნები თურქეთში სამართლიანად, ყოველგვარი დარღვევების გარეშე და, რაც მთავარია, გამჭვირვალედ ჩატარდა. განსაკუთრებით ღიად მიმდინარეობდა ხმების დათვლის პროცედურა, კომისიის წევრები თითოეულ ბიულეტენს ასაჯაროებდნენ. შეიძლება ითქვას, არჩევნები უზადოდ ჩატარდა.

საარჩევნო უბნების დახურვიდან ოთხი საათის შემდეგ დათვლილი იყო ხმების 98%. შედეგად, ერდოღანის უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. მისი მხარდამჭერი მიტინგები თურქეთისა და ევროპის ქვეყნების ქალაქებში გაიმართა. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი გამოსვლები სტამბულსაი და ანკარაში იყო. ერდოღანმა მადლობა გადაუხადა მხარდამჭერებს: „...ახლა ყოველგვარი წყენა უნდა დავივიწყოთ და გავერთიანდეთ ქვეყნის ასაღორძინებლად“. ქემალ კირიჩდაროღლუმაც მიმართა მხარდამჭერებს და მადლობა გადაუხადა მათ. მისი თქმით, იგი უსამართლო არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობს. ევროპულმა პრესამ ერდოღანის გამარჯვება პუტინის გამარჯვებად შეაფასა.

ორშაბათს დილით თურქეთის საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა უკვე მთლიანად დათვლილი ბიულეტენების შედეგები. ერდოღანმა ხმების 52,11%, კირიჩდაროღლუმ კი 47,88% მიიღო. გამარჯვება ერდოღანს ერთ-ერთმა პირველმა ვლადიმირ პუტინმა მიულოცა. არჩევნების შედეგები ოფიციალურად 1-ელ ივნისს გამოქვეყნდება. რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მმართველობა თურქეთში გრძელდება...

„...აშშ-ში დეფოლტი არ იქნება! ჯერ არ იქნება!“ — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. კონგრესთან უთანხმოება შიდა ვალის ზღვრის გაზრდაზე დაძლეულია. ჯო ბაიდენი შაბათს საკმაოდ დიდხანს ესაუბრა კონგრესის სპიკერს კევინ მაკარტის. მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესახებ ინფორმაცია მწირია. მხოლოდ ერთია ცნობილი, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია საბიუჯეტო ხარჯებს შეამცირებს, მაგრამ რომელ სფეროში და რა რაოდენობით, ჯერ უცნობია. სამაგიეროდ, გაიზრდება შიდა ვალის ოდენობა. დეტალები, სავარაუდოდ, ამ კვირაში გასაჯაროვდება. თუმცა რესპუბლიკელებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაპირისპირება გრძელდება.

მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე პენტაგონში აშშ-ის პრესაში უკვე ორი თვეა, საუბრობენ. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ გაერთიანებული შტატების მეთაურს, გენერალ მარკ მილის ავიაციის გენერალი, აფრომამერიკული წარმომავლობის ჩარლზ ბრაუნი შეცვლის. იგი გამოცდილი მფრინავია, რომელსაც სხვადასხვა სამხედრო ოპერაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

გასულ კვირას მოსკოვში ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების უმაღლესი საბჭოს სხდომა გაიმართა. ორგანიზაციაში ყოფილი საბჭოეთის ხუთი ქვეყანაა გაერთიანებული. მართალია, აზერბაიჯანი ამ ორგანიზაციის წევრი არ არის, მაგრამ მოსკოვში იმყოფებოდა პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. რუსეთის პრეზიდენტი ცალ-ცალკე შეხვდა ალიევსა და სომხეთის (რომელიც ორგანიზაციის წევრია) პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს, შემდეგ კი სამმხრივი შეხვედრა გაიმართა. ალიევის განცხადებით: „...არის საშუალება სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მშვიდობის მისაღწევად. მით უფრო, როდესაც ფაშინიანმა აზერბაიჯანის ტერიტორიად აღიარა ყარაბაღის ნაწილი“. პაშინიანმა კი განაცხადა: „...იმედია, მალე დაიწყება კონსტრუქციული დიალოგი ბაქოსა და სტეპანაკერტს შორის“.

ასი წელი შესრულდა მსოფლიოში გამოჩენილ პოლიტიკოსს, ჰენრი კისინჯერს, რომელსაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, აშშ-ის ყველა მოქმედი პრეზიდენტი (ჯო ბაიდენის გარდა) ეკითხებოდა რჩევას.

ამასობაში კვლავ რთული რჩება მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

გია ბურდული
551 71 27 07

ეკვადორის პრეზიდენტის სიკვდილის საიდუმლო

სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში ყოფილან, არიან და, ალბათ, მომავალშიც იქნებიან პირველი პირები, რომლებსაც ცხოვრების უმთავრეს მიზნად საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ღირსეულად და ერთგულად მსახურება დაუსახავთ. ბედნიერია ის ქვეყანა და ხალხი, ვისაც ასეთი პრეზიდენტი ჰყოლია...

ეკვადორის პრეზიდენტი ხაიმე როლდოსი ღირსეული ადამიანი იყო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც კი მთავარ მიზნად საკუთარი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მიიჩნევდა.

იგი დასავლური დემოკრატიის ტრაციდიების დაცვით კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იყო. მიუხედავად ამისა, როლდოსი საინფორმაციო შეტევებისა და თავხედური, უსაფუძვლო ცილისწამებების მსხვერპლი გახდა. როცა პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდა, ეკვადორში რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 1967 წელს ნავთობის უმდიდრესი მარაგი აღმოაჩინეს, რომელიც ამერიკულმა ნავთობკომპანიებმა ჩაიგდეს ხელში, ეკვადორში ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. გარდა იმისა, რომ ამერიკულმა კომპანია Texaco-მ ტრანსანდიური ნავთობსადენის გასაყვანად ათასობით ჰექტარი ტყე გაჩეხა, რის შედეგადაც გამოუსწორებელი ზიანი მიადგა უნიკალურ ფლორასა და ფაუნას, მცენარეთა და იშვიათ ცხოველთა უამრავი სახეობა გადაშენების პირას აღმოჩნდა, ეკვადორის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კატასტროფულად იმატა უმუშევრობისა და სიღარიბის დონემ, საგარეო ვალის რაოდენობა კი 67-ჯერ გაიზარდა.

ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა იმატა, მაგრამ მცირე ბიზნესმა განვითარება შეწყვიტა. ნავთობის გაყიდვაზე დადებული გარიგებების შედეგად მხოლოდ აშშ-სთან დაახლოებული და სხვადასხვა სქემებით მასთან დაკავშირებული ეკვადორის ელიტა მდიდრდებოდა. ნავთობის გაყიდვით მიღებული ყოველი 100 დოლარიდან ეკვადორს მხოლოდ 25 რჩებოდა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ეკვადორი ფინანსურ ხაფანგში გაება, რომელიც მას დასავლეთელმა პარტნიორებმა დაუგეს. ქვეყანა ვალებში იხრჩობოდა და იძულებული იყო, კვლავ და კვლავ ახალი ვალები აეღო, რის გამოც უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა ამერიკელებზე. ქვეყანაში შესული ფული ადრე აღებული ვალების დაფარვას ხმარდებოდა. საკრედიტო ყულფი შესაძლებლობას არ აძლევდა ეკვადორის ხელისუფლებას, ფული საკუთარი ეკონომიკის განვითარებაში ჩაედო, შეექმნა ახალი სამუშაო ადგილები, შესაბამის დონეზე აეყვანა ჯანდაცვა და განათლება. ქვეყანაში ცვლილებების გატარება იყო საჭირო!

ცვლილებები კი საჭირო იყო, მაგრამ ეკვადორის მოქმედი რეჟიმი მხოლოდ უცხოური კომპანიებისთვის მიწების მიყიდვით იყო დაკავებული. გარდა ამისა, ქვეყანა კორუფციაში ჩაეფლო და მმართველი რეჟიმის დიქტატურის წნეხის ქვეშ უწევდა ცხოვრება.

ამ ფონზე 39 წლის ხაიმე როლდოსი ეკვადორისთვის იმედის ნაპერკლად იქცა. იგი იურისტი, პროფესორი იყო და შესანიშნავად უწყოდა, რა პრობლემებთანაც მოუწევდა შეჯახება. როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, როლდოსი მოსახლეობას ეკვადორის ნავთობისა და გაზის დარგის რეორგანიზაციას დაჰპირდა. მის სასარგებლოდ მუშაობდა ის ფაქტიც, რომ როლდოსი არასოდეს გარეულა კორუფციულ სკანდალებში. ქვეყანას არ სჭირდებოდა არც ნავთობის მოპოვების გაზრდა და არც დამატებითი კრედიტების აღება, საჭირო იყო მხოლოდ ბუნებრივი რესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლის სამართლიანად განაწილება. მისი ჩანაფიქრით, ამერიკელ ნავთობმომპოვებლებს თავიანთი ზღაპრული შემოსავლებიდან ეკვადორში უფრო მეტი თანხები უნდა დაეტოვებინათ. როლდოსმა, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა უცხოელ პატრონებს. როლდოსს სხვებისგან ისიც განასხვავებდა, რომ იგი ლათინური ამერიკის ქვეყნებში დიქტატურის პირობებში ადამიანის უფლებებისთვის იბრძოდა.

1979 წლის აგვისტოში ახალარჩეულმა ეკვადორის პრეზიდენტმა თავისი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება დაიწყო. ამერიკულ ნავთობკომპანია Texaco-სადმი მიმართვაში პრეზიდენტმა გააჟღერა, რომ, თუ ამერიკელებს არ სურთ ეკვადორში მეტი ინვესტიციების ჩადება, მათ ადგილზე ახალი კომპანიები მოვლენ, რომლებიც ეკვადორელების ინტერესებს გაითვალისწინებენ. უნდა აღინიშნოს, რომ როლდოსის პრეზიდენტად არჩევა, გარკვეულწილად, იმ დროს ამერიკის პრეზიდენტად ჯიმი კარტერის ყოფნამაც

ნავთობკომპანიებმა ჩაიგდეს ხელში, ეკვადორში ხალხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. გარდა იმისა, რომ ამერიკულმა კომპანია Texaco-მ ტრანსანდიური ნავთობსადენის გასაყვანად ათასობით ჰექტარი ტყე გაჩეხა, რის შედეგადაც გამოუსწორებელი ზიანი მიადგა უნიკალურ ფლორასა და ფაუნას, მცენარეთა და იშვიათ ცხოველთა უამრავი სახეობა გადაშენების პირას აღმოჩნდა, ეკვადორის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კატასტროფულად იმატა უმუშევრობისა და სიღარიბის დონემ, საგარეო ვალის რაოდენობა კი 67-ჯერ გაიზარდა.

ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა იმატა, მაგრამ მცირე ბიზნესმა განვითარება შეწყვიტა. ნავთობის გაყიდვაზე დადებული გარიგებების შედეგად მხოლოდ აშშ-სთან დაახლოებული და სხვადასხვა სქემებით მასთან დაკავშირებული ეკვადორის ელიტა მდიდრდებოდა. ნავთობის გაყიდვით მიღებული ყოველი 100 დოლარიდან ეკვადორს მხოლოდ 25 რჩებოდა. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ეკვადორი ფინანსურ ხაფანგში გაება, რომელიც მას დასავლეთელმა

განაპირობა, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკის მომხრე იყო.

1980 წელს კარტერმა რონალდ რეიგანთან წააგო არჩევნები, რამაც ბევრად განსაზღვრა ხაიმე როლდოსის ბედიც.

რეიგანისთვის როლდოსისნაირი პერსონაჟები მიუღებელი იყო და მისი გამოსვლა ამერიკული ნავთობკომპანიების მისამართით პირად გამოწვევად მიიღო. საიდუმლო როდია, რომ ეკვადორის პოლიტიკური ლანდშაფტის შექმნაში ამერიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ამიტომ პრეზიდენტის წინაღმდეგ შეთქმულების ორგანიზება რთული არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ როლდოსი გააფრთხილეს, რომ მასზე თავდასხმა მზადდებოდა, თავის დაცვა ძალიან ძნელი იყო, რადგან მოღალატეები სწორედ ის ადამიანები აღმოჩნდნენ, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ პრეზიდენტ როლდოსის წინააღმდეგ ორგანიზებული ოპერაცია „ლიკვიდაცია“ დაიწყო...

1981 წლის 24 მაისს ხაიმე როლდოსი ატაუალპას „ოლიმპიკოს“ სტადიონზე საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. მისი ბოლო სიტყვები იყო: „გაუმარჯოს სამშობლოს!“

გრაფიკის თანახმად, როლდოსი ეკვადორის სამხრეთით, ლოხას პროვინციაში უნდა გამგზავრებულიყო. პირადი დაცვის ერთ-ერთმა ოფიცერმა მას სათადარიგო ვერტმფრენის გამოყენება ურჩია. რადგან პრეზიდენტმა შეთქმულების შესახებ იცოდა, მან დაცვის სამსახურის შეთავაზება მიიღო. რამდენიმე საათის შემდეგ კი ვერტმფრენი გაურკვეველი მიზეზების გამო მთიან რაიონში ჩამოვარდა. პრეზიდენტთან ერთად ვერტმფრენში იმყოფებოდნენ მისი მეუღლე და თანმხლები პირები, რომელთაგან არავინ გადარჩენილა. იმ დღეს ეკვადორმა თავისი ეროვნული ლიდერი დაკარგა.

ხაიმე როლდოსის ტრაგიკული სიკვდილი არამარტო ეკვადორელებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელ ამბად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ირიბი მტკიცებულებები ამერიკის ბრალეულობაზე მიუთითებს, პირდაპირი მტკიცებულებების მოძიება ამერიკის მხარის მონაწილეობაზე ეკვადორის პრეზიდენტის სიკვდილში, ვერ მოხერხდა. ამერიკელი ჯონ პერკინსი, ავტორი წიგნისა „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“, რომელიც პირადად იცნობდა ეკვადორის პრეზიდენტს, დარწმუნებულია, რომ ხაიმე როლდოსის სიკვდილში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოა დამნაშავე. ამ მოსაზრების დასტურად ისიც შეიძლება გამოდგეს, რომ ზუსტად ორი თვის შემდეგ იგივე გარემოებებში დაიღუპა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნის (პანამის) ეროვნულად განწყობილი ლიდერიც.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დღესაც ახორციელებს თავის ბინძურ საქმეებს მსოფლიოს მასშტაბით და როგორც ყოველთვის ახლაც ადვილად ახერხებს თავის დაძვრენას.

1981 წლის ზაფხულში მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის შოკის მომგვრელი ამბები ხდებოდა. ამერიკის სპეცსამსახურების ასეთი თავხედობის მომსწრე მსოფლიო მანამდე არ ყოფილა.

ეკვადორი დღემდე ამერიკის ბუნებრივი რესურსების კოლონიად რჩება. ნავთობმომპოვებელი მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის მიღებას ლობისტები უშლიან ხელს. ამ კანონის მიღება 2025 წლამდე გადაიდო.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

მხცოვანი ჟურნალისა და პატარა მკითხველის შეხვედრა

ამა წლის 20 მაისს დიდი ჟრიამული და ხალხმრავლობა იყო ზანდუკელის პირველ ნომერში. ეზო სავსე იყო ბავშვებითა და უფროსებით.

აქ, ამ ეზოშია განთავსებული საყმაწვილო ჟურნალ „დილის“ რედაქცია, რომელსაც ამ დღეს უამრავი სტუმარი ეწვია.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში დაგეგმილი იყო უძველესი საბავშვო პერიოდული გამოცემის ახალი ნომრის (2023 წ. 1-2) წარდგინება.

პრეზენტაცია გამომცემლობა „დილის“ დირექტორმა, ქალბატონმა დოდო წივწივაძემ გახსნა, რომელმაც ისაუბრა ჟურნალ „დილის“ დაარსებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ღონისძიება კი ჟურნალ „დილის“ რედაქტორმა თამარ ნინიკაშვილმა განაგრძო და სტუმრებს ქალბატონი ლალი ჯაფარაშვილის შესახებ უამბო, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც გამოიცა ჟურნალის ეს ნომერი,

წარდგინებას უძღვებოდა საბავშვო მწერალი ლალი ღაჭავა. სტუმრებს მიესალმნენ საბავშვო მწერლები და პოეტები: ლალი ჯაფარაშვილი, თინათინ ჭეჟია, მზია მექერიშვილი, ნინო არსენაშვილი, ნინო მზესელი, ნინო ქუთათელაძე, მაია დიაკონიძე, რომლებმაც ისაუბრეს ჟურნალ „დილის“, საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ მომავალი თაობების სწორად აღზრდის საქმეში და წაიკითხეს საკუთარი ნაწარმოებები.

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული კლუბის „კალმოსანის“ აღსაზრდელებმა (ხელმძღვანელი ლალი ჯაფარაშვილი) — ლიზა აბაშიძემ და ანა გაბრიჭიძემ წაიკითხეს „დილაში“ გამოქვეყნებული თავიანთი თხზულებები.

სტუმრების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა ჟურნალისტმა მარინე გიგინეიშვილმა.

წარდგინებაზე „დილას“ თბილისის 114-ე (პედაგოგი ლირა ბერაია) და 120-ე საჯარო სკოლის (პედაგოგები ნაირა ჯანჯღავა, გვანცა ღაჭავა, ნონა ღვდელაძე) მოსწავლეები ეწვივნენ, სტუმრად მობრძანდნენ სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ აღსაზრდელებიც (პედაგოგები ირმა ბაკირაძე, ნინო აბესაძე), მათმა დირექტორმა, ნატალია ბეიტრიშვილმა „დილას“ „მადლობის სიგელი“ გადასცა.

„დილის“ პატარა მეგობრებმა წაიკითხეს ჟურნალში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლექსები და მოთხრობები, წარმოადგინეს სკეტჩი და მუსიკალური ნომრები.

ჟურნალ „დილის“ ახალი ნომრის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში, პრესის გავრცელების ჯიხურებსა და სტენდებზე 1. თავისუფლების მეტროს მიმდებარედ; 2. ვერის პარკის მიმდებარედ; 3. 51-ე სკოლის მიმდებარედ; 4. ვაკის პარკის მოპირდაპირე მხარეს, „ქართუ ჯგუფის“ მიმდებარედ; 5. ავლაბრის მეტროს უკანა მხარეს; 6. დიდუბის მეტროს გამოსასვლელის მიმდებარედ; 7. გადასასვლელი ხიდის მიმდებარედ (ნაძალადევი); 8. მეტრო „ახმეტელის“ წინ; 9. დიღომი. ყოფილი დიღმის ბაზრის მიმდებარედ; 10. მეტრო სამგორის მიმდებარედ. ავტობუსის გაჩერების უკან; 11. ლეონიძის (ყოფილი კიროვის ქუჩა), მაჩაბლის ქუჩის დასაწყისში; 12. მეტრო „მარჯანიშვილის“ მარჯვენა მხარეს, ამოსასვლელთან; 13. „დინამოს“ სტადიონის მიმდებარედ; 14. აკ.წერეთელის ბაღის წინ; 15. დელისის მეტროს მიმდებარედ; 16. ვარკეთილის მეტროს ამოსასვლელთან; 17. სადგურის (ვაგზლის) მეტროს ამოსასვლელთან; 18. ოპერის მოპირდაპირედ.

ჩვენს თანამშრომელს, პროფესიონალ ჟურნალისტს, გულწრფელ, კეთილშობილ ადამიანს და სათნო ქალბატონს

ნონა ქარქაშაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს, ულევ სიხარულს, შვილების ბედნიერებას და შემოქმედებით წარმატებებს მის რთულ, საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“

იყიდება ბინა საბურთალოზე, მინდელის 12, 68.3კვ. მწვანე კარკასი, დასრულებულ და შესახლებულ „დონა პალასის“ კორპუსში.
ტელ: 514-38-77-38

ტაქსი გამოძახებით

დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 სააათის მანძილზე

0322 300 308;
0322 450 450;
558 300 088

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99